დანართი №2
ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ
ხელშეკრულების "ძირითადი წესები და პირობები"

1. დეფინიციები – თუ „ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, აღნიშნულ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. **„მომსახურება"** – „ხელშეკრულებით" ან/და მისი „დანართ(ებ)ით" განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

1.2. **„მომსახურების სატარიფო გეგმა" ან/და „სატარიფო გეგმა"** – „აბონენტის" მიერ არჩეული კონკრეტული „მომსახურების" პაკეტი/გეგმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს „მომსახურების" ღირებულებას, პირობებს და „მომსახურებაში" შემავალ სერვისებს). „სატარიფო გეგმის" დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია სატარიფო ცხრილში, რომელიც წარმოადგენს "ხელშეკრულების" დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. **„მომსახურების ღირებულება"** – „ხელშეკრულების" დანართებით გათვალისწინებული „მომსახურების ღირებულება", რომელიც ასევე მოიცავს მე-6 პუნქტით განსაზღვრულ გადასაცემ/გადაცემულ „ტექნიკური საშუალებების" სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.4. **„სააბონენტო გადასახადი"** – „კომპანიის" მიერ „მომსახურების" მიღების უფლებისათვის და/ან "მომსახურებისთვის" დაწესებული შესამაბისი ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი.

1.5. **„პირგასამტეხლო"/"ჯარიმა"** – შესაბამისი „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ფინანსური ან/და სხვა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ერთჯერადი გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება „ხელშეკრულებით" (მისი დანართებით).

1.6. **„პირადი ნომერი" ან „პირადი ანგარიში"** – „კომპანიის" მიერ „აბონენტისათვის" მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაერთიანებულია ერთი ან/და რამდენიმე „მომსახურება" და რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების" დარიცხვა ან/და გადახდა ან/და რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების" წინასწარ გადახდა.

1.7. **„ფროდი" –** „მომსახურებისთვის" დაწესებული „მომსახურების ღირებულების" გადახდისაგან თავის არიდების გზით, „მომსახურების" უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად მიღება.

1.8. **„ტრაფიკი" –** საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადაცემული მონაცემების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

1.9. **„მიღება-ჩაბარების აქტი"** – „მხარეთა" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება „აბონენტისთვის" „ტექნიკური საშუალებების" გადაცემის, შეცვლის ან/და „აბონენტის" მიერ „კომპანიისთვის" უკან დაბრუნების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ფაქტი, ასევე, აბონენტის წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში – „მომსახურების" ან/და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების გაწევის ფაქტი.

1.10. **„კანონმდებლობა"** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.11. **„აბონენტი"** – ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს და რომელსაც ეკრძალება „მომსახურების" შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად „მესამე პირებისათვის" მიწოდება), რომლის მიერაც ხდება „ხელშეკრულების" დანართ(ებ)ით განსაზღვრული ,,მომსახურების ღირებულების" გადახდა, რომლის სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია „ხელშეკრულებაში".

1.12. **„მესამე პირი"** – ნებისმიერი პირი გარდა „აბონენტისა" ან/და „კომპანიისა".

1.13. **„მხარე/მხარეები"** – „აბონენტი" ან/და „კომპანია", კონტექსტის შესაბამისად.

1.14. **„პირი"** – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის „კანონმდებლობით" გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.

1.15. **„სამუშაო დღე"** – დღე, შაბათის, კვირის ან „კანონმდებლობით" განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.16. **„ტექნიკური საშუალებები"** – ტექნიკური საშუალებები და სხვადასხვა სახის ძირითადი თუ დამხმარე მოწყობილობები, რომელთა მიღებისა და გამოყენების წესი მოცემულია „ხელშეკრულების" მე-6 მუხლში ან/და დანართებში;

1.17. **„კომისია"** – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.18. **„რეგლამენტი"** – ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

1.19. **„პრომო აქცია"** – „კომპანიის" მიერ შესაბამისი „მომსახურებების ღირებულების" ან/და „მომსახურების" მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი „პრომო აქცი(ებ)ის" ფარგლებში და ვადით.

1.20. **„საკონტაქტო ინფორმაცია"** – „აბონენტის" მიერ „ხელშეკრულებაში" დაფიქსირებული ფიქსირებული/მობილური კავშირის ნომერი ან ელექტრონული ფოსტა.

1.21. **ერთიანი ანგარიში** – „კომპანიის" მიერ „აბონენტის" სახელზე გახსნილი ვირტუალური ანგარიში (პირადი ანგარიში), სადაც გაერთიანებულია „კომპანიის" მიერ „აბონენტისთვის" მიწოდებული მომსახურების ტიპები, რომელზეც ხორციელდება გაერთიანებული მომსახურებების ღირებულების დარიცხვა ან/და გადახდა ან/და რომელზეც ხორციელდება მომსახურებების ღირებულების წინასწარ გადახდა.

1.22. **ხარისხიანი მომსახურება** – უწყვეტად (გარდა „ხელშეკრულებითა" და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) მიწოდებული მომსახურება „კომპანიის" მიერ შეთავაზებული მომსახურების პაკეტის ან/და მოცულობის შესაბამისად.

1.23. **ელექტრონული ხელმოწერა** – „კომპანიის" მიერ ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილი მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც „აბონენტი" იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.

1.24. **„აბონენტის მისამართზე მცხოვრები პირი"** – აბონენტის მისამართზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყოველგვარი შეფერხების გარეშე „კომპანიის" წარმომადგენლის (ინსტალატორის) დაშვებას მომსახურების მიწოდების/შესაძლო მიწოდების მისამართზე.

1.25. **„ინსტალაცია"** – „კომპანიის" მიერ განსახორციელებელი „ტექნიკური საშუალებების" ინსტალაციის და „მომსახურების" მიწოდებისთვის საჭირო სამუშაოები.

1.26. **„ინსტალაციის ღირებულება"** – განისაზღვრება დანართ(ებ)ში.

1.27. **„აბონენტის პერსონალური კოდი"** – აბონენტისთვის მინიჭებული პაროლი (ასოების/ციფრების კომბინაცია), რომელიც ემსახურება მის იდენტიფიცირებას და რომლის მინიჭების და გამოყენების პირობები მოცემულია „კომპანიის" ვებ გვერდზე: **WWW.SILKNET.COM.**

1.28. **„პინ კოდი"** – ციფრების კომბინაცია, რომელიც ემსახურება აბონენტის იდენტიფიცირებას და რომლის მინიჭებისა და გამოყენების პირობები მოცემულია „კომპანიის" ვებ გვერდზე: **WWW.SILKNET.COM.**

1.29. **ინტერნეტ–მომსახურება –** ინტერნეტ–მომსახურება გულისხმობს კომპანიის ტექნიკური აღჭურვილობის, ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო შეერთებების მზაობას, დააკმაყოფილოს აბონენტის მომსახურების პაკეტით გათვალისწინებული ტევადობის/სიჩქარის ინტერნეტ–წვდომა და არ ითვალისწინებს ინფორმაციის მფლობელის, მომსახურების გამწევის ან სხვა წყაროს მიერ ამავე მოცულობით მომსახურების გაწევას. ინტერნეტ წვდომის „სიჩქარის"/ხარისხის შეფასება ხდება (არა მყისიერ, არამედ განგრძობით) განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ინტერნეტ–მოხმარების დროს (მოხმარების მინიმალური მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში) გამოყენების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობის საშუალო მაჩვენებლით. ინტერნეტის მოხმარების ინდიკატორი: მოხმარების მინიმალური მაჩვენებელზე (მიწოდების ტექნოლოგიის მიხედვით 64 კბ/წმ, 128 კბ/წმ ან 256 კბ/წმ(ტექნოლოგიას) დაბალი მნიშვნელობის შემთხვევები ჩაითვლება აბონენტის მიერ მომსახურების გამოუყენებლობლობად ან დაზიანებად კომპანიის ცხელ ხაზზე მომხმარებლის მიერ შესაბამისი ზარის განხორციელების შემთხვევაში. შეფასების დრო: 1 თვე. ინტერნეტ–მოხმარების ინდიკატორი (მინიმალური საშუალო მაჩვენებელი) განისაზღვრება კომპანიის მიერ ტექნოლოგიებისა და მომსახურების ტიპის მიხედვით.

2. „ხელშეკრულების" საგანი

2.1.„ხელშეკრულების" საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით, „კომპანია" „აბონენტს" უწევს „მომსახურებას". კონკრეტული „მომსახურების" დეტალური აღწერა და შესაბამისი ტარიფები მოცემულია „ხელშეკრულების" დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

3. „მომსახურების" ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და ჯარიმები

3.1.„კომპანიის" მიერ „აბონენტისათვის" მიწოდებული „მომსახურების" ღირებულება და გადახდის პირობები განისაზღვრება „ხელშეკრულებითა" და მისი დანართებით. ამასთან, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული "ხელშეკრულებითა" და კონკრეტული მომსახურების შესაბამისი დანართ(ებ)ით, "მომსახურების ღირებულების" გადახდა "აბონენტის" მიერ უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, კონკრეტული მომსახურების შესაბამისი საბონენტო ხელშეკრულების N1 დანართში მითითებულ გადახდის თარიღამდე.

3.2. ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "კომპანიის" ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.3. იმ შემთხვევაში თუ „მომსახურების ღირებულება" „ხელშეკრულებაში" ან/და მის დანართებში განსაზღვრული იქნება უცხოურ ვალუტაში, მიწოდებული "მომსახურების ღირებულება" დაანგარიშდება და გადაიხდება დარიცხვის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. დარიცხვის დღედ ჩაითვალოს კალენდარული თვის ბოლო დღე.

3.4. „აბონენტს" წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი თანხის გადახდა შეუძლია სერვისცენტრებში, საბანკო დაწესებულებებში, ასევე „ფეი–ბოქსებისა" და ინტერნეტ–გადახდების საშუალებით.

3.5. წინამდებარე „ხელშეკრულების" მიზნებისათვის „აბონენტის" მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება „კომპანიის" საბანკო ანგარიშზე.

3.6. ''აბონენტი'' თანახმაა, მის ანგარიშზე არსებული ნებისმიერი დავალიანების მესამე (გარეშე) პირის მიერ დაფარვის (ერთჯერადად ან განვადებით) ან/და მომსახურების აღდგენის მიზნით, საჯარო იყოს ''აბონენტის'' ანგარიშზე არსებული დავალიანების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია („პერსონალური ინფორმაცია"), ასევე შესაძლებელი იყოს მესამე პირის მიერ მომსახურების აღდგენა ან/და დავალიანების დაფარვა (ერთჯერადად ან განვადებით), ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული პირობა არ ართმევს "აბონენტს'' უფლებას, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი ჯამური დავალიანების („პერსონალური ინფორმაციის") მესამე პირებზე გაცემის შეზღუდვა.

3.7. აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული საბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების საბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა (CDMA) ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად).

4. „მომსახურების" შეზღუდვა, შეწყვეტა, აღდგენა, შეთავაზებების დაშლა, დროებით შეჩერება

4.1.მომსახურების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხორციელდება „ხელშეკრულების", მისი დანართებისა და „რეგლამენტის" პირობათა შესაბამისად და მათი დაცვით. გადახდის თარიღები, ასევე მომსახურების" შეზღუდვის, აღდგენის, დროებით შეჩერების (დაპაუზების) და შეწყვეტის პირობები თითოეული სახის მომსახურებაზე მოცემულია N1 ან/და N2 დანართებში.

4.2.„აბონენტის" მიერ „კომპანიისთვის" გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან/და „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, „კომპანია" უფლებამოსილია „ხელშეკრულების" პირობებისა და „რეგლამენტის" შესაბამისად, შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს „აბონენტს" ცალკე ანგარიშზე არსებული მომსახურება, ასევე ერთიანი ანგარიშის ფარგლებში მიწოდებული ყველა ის „მომსახურება", რომლის მიწოდებაც „აბონენტისათვის" ხორციელდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით და ერთ-ერთი მათგანის მიწოდება ტექნიკურად დამოკიდებულია მეორის მიწოდების უწყვეტობაზე, ასევე შეუწყვიტოს ნებისმიერი სახის მომსახურება აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე.

4.3.„კომპანია" უფლებამოსილია სხვა ოპერატორთან და/ან სხვა პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, სხვა ოპერატორისგან და/ან სხვა პირისგან „აბონენტის" მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების და/ან სხვა მომსახურების საფასურის გადახდა მოსთხოვოს „აბონენტს" და გადაუხდელობის შემთხვევაში „ხელშეკრულების" ან/და „რეგლამენტის" შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების" შეზღუდვა ან/და შეწყვეტა;

4.4.„კომპანია" უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეუზღუდოს „აბონენტს" ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული ყველა ან/და ნებისმიერი სახის „მომსახურება", თუკი „კომპანიას" გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ „აბონენტისათვის" მიწოდებული „მომსახურება" გამოყენებულია „ფროდის" მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდთან".

4.5.„აბონენტი" უფლებამოსილია მოითხოვოს „მომსახურების" შეწყვეტა, ხოლო „კომპანია" თავის მხრივ, ვალდებულია შეუწყვიტოს „აბონენტს" „მომსახურება", ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილი სახით წარედგინება „კომპანიის" სერვის–ცენტრს.

4.6. „მომსახურების" შეწყვეტისას ან/და შეთავაზებების დაშლისას „ტექნიკური საშუალებების დაბრუნება: საბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტისას (გარდა აბონენტის ინიციატივით მომსახურების მიღების/ხელშეკრულების შეწყვეტისა), აბონენტი ვალდებულია, სერვისცენტრში მიტანის გზით, დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებები - მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე, ხოლო აბონენტის ინიციატივით მომსახურების მიღების/ხელშეკრულების შეწყვეტისას აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებები ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ტექნიკური საშუალებების დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება ტექნიკური საშუალებების აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაუყოვნებლივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვისთანავე დაერიცხება და გადასახდელი ექნება ტექნიკური საშუალების დარიცხვის მომენტისთვის არსებული შესაბამისი სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას თანხის დარიცხვიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებების დაშლისას, მათ შორის, თუკი წყდება ინტერნეტ-მომსახურება და აბონენტი იტოვებს სატელეფონო და სატელევიზიო მომსახურებებს (ოპტიკური ტექნოლოგიით მომსახურებისას), ინტერნეტ-მომსახურების შეწყვეტისთანავე მოდემი არ ექვემდებარება დაბრუნებას. აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ''ტექნიკური საშუალებების'' ღირებულება მომსახურების მიღების პერიოდშიც (ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის არარსებობისას) ''ტექნიკური საშუალებების'' დაზიანების/განადგურების შემთხვევაში.

4.7. დარიცხვიდან არა უმეტეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში, აბონენტის/პირის მიერ კომპანიის ''ტექნიკური საშუალებების'' დაბრუნების შემთხვევაში, დარიცხვა უქმდება.

4.8. ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება:

4.8.1. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, სატელეფონო მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი), (გადახდის თარიღები იხ. დანართ N1-ში).

4.8.2. მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული* (*ცალმხრივად გათიშვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე) 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება საბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.

4.8.3. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისას, მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი).

4.8.4. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომერი.

4.8.5. ორმხრივად შეზღუდვის პერიოდში აბონენტს არ ერიცხება საბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.

4.8.6. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის ამოწურვის შესაბამისი თვის მომდენო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან ხელშეკრულება წყდება და კომპანია იტოვებს სატელეფონო ნომრის გასხვისების უფლებას.

4.8.7. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში დავალიანების და აღდგენის ღირებულების გადახდის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო ნომერი და სატელეფონო მომსახურება, (აღდგენის ღირებულება შესაძლებელია გადახდილ იქნეს მომსახურების ჩართვიდან მომდევნო თვის საბონენტო გადასახდთან ერთად).

4.8.8. სატელეფონო მომსახურების აღდგენის ღირებულება განისაზღვრება 20 (ოცი) ლარით (გარდა ქუთაისისა და კახეთისა (თელავის გამოკლებით)).

4.8.9. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ აბონენტს საშუალება ეძლევა ხელახლა დააინსტალიროს/მიიღოს სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის, სატელეფონო ნომრის საფასურის გადახდის (ფასიანი ნომრის შემთხვევაში) და ინსტალაციის ღირებულების გადახდის შემდეგ.

4.8.10. თუ მომსახურების აღდგენის დროს სატელეფონო ნომერი და/ან ტექნიკური საშუალება გასხვისებულია, მომხმარებელი ვერ შეძლებს იმავე ნომრის დაბრუნებას და/ან მომსახურების აღდგენას.

4.9. DSL ინტერნეტ-მომსახურება:

4.9.1. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, იზღუდება ინტერნეტ–მომსახურება და იმავდროულად, ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურება იზღუდება ცალმხრივად.

4.9.2. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის დასრულების მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

4.9.3. DSL ინტერნეტ-მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან 8 (რვა) თვის განმავლობაში.

4.9.4. შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, შეზღუდული DSL ინტერნეტ–მომსახურების და ცალმხრივად შეზღუდული ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მინიმალური შენატანის (წინა კალენდარული თვის/თვეების) გადახდის პირობით.

4.9.5. DSL ინტერნეტ–მომსახურებასთან ტექნოლოგიურ ბმაში მყოფი ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, მომსახურების აღდგენა ხდება ერთიან ანგარიშზე არსებული ყველა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების სრულად დაფარვისა და სატელეფონო მომსახურების აღდგენის საფასურის 20 (ოცი) ლარის გადახდის პირობით (გარდა ქუთაისისა და კახეთისა (თელავის გამოკლებით)), (აღდგენის ღირებულება შესაძლებელია გადახდილ იქნეს მომსახურების ჩართვიდან მომდევნო თვის საბონენტო გადასახდთან ერთად).

4.10. DSL სატელევიზიო მომსახურება (DSL სილქ ტვ):

4.10.1. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, DSL სატელევიზიო მომსახურება იზღუდება.

4.10.2. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

4.10.3. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

4.11. DSL სამმაგი შეთავაზება (ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება + DSL სილქ ინტერნეტი + DSL სილქ ტვ):

4.11.1. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებები იზღუდება, ხოლო ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი) - არასრული 4 (ოთხი) თვის ვადით; აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აბონენტს ერიცხება ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების საბონენტო და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.

4.11.2. თუ გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე არ მოხდება დავალიანების დაფარვა, სატელევიზიო მომსახურების ნაწილში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

4.11.3. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობისას) ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება იზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი) - 4 (ოთხი) თვის ვადით.

4.11.4. მომსახურებების პირველი შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში არ მოხდება დავალიანების დაფარვა, აღნიშნული ვადის დასრულების მომდევნო თვის 1 რიცხვში სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურების ნაწილშიც ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

4.11.5. მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში (შესაბამის ვადებში) ნებისმიერ დროს, დავალიანების დაფარვის პირობით.

4.11.6. სამმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებ(ებ)ის შესაბამის ვადებში შეწყვეტის შემდგომ, დარჩენილი მომსახურებ(ებ)ის აღდგენის შესაბამის ვადებში დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, დარჩენილი მომსახურებები აღდგება/გააქტიურდება ცალკემდგომი მომსახურებების პირობებით;

4.12. DSL ოთხმაგი შეთავაზება (ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურება + DSL სილქ ინტერნეტი + DSL სილქ ტვ + მობილური ქსელით მომსახურება (ს1)):

4.12.1. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებები იზღუდება, ხოლო ფიქსირებული სადენიანი და მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურებები იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი) - არასრული 4 (ოთხი) თვის ვადით. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აბონენტს ერიცხება ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების საბონენტო და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.

4.12.2. თუ გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე არ მოხდება დავალიანების დაფარვა, სატელევიზიო მომსახურების ნაწილში ხელშეკრულება ჩაითვლებას შეწყვეტილად.

4.12.3. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობისას) ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურებები იზღუდება ორმხრივად (რა დროსაც შეზღუდული რჩება ინტერნეტ-მომსახურება) - 4 (ოთხი) თვის ვადით.

4.12.4. მომსახურებების პირველი შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში არ მოხდება დავალიანების დაფარვა, აღნიშნული ვადის დასრულების მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

4.12.5. მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში (შესაბამის ვადებში) ნებისმიერ დროს, დავალიანების დაფარვის პირობით.

4.12.6. ოთხმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებ(ებ)ის შესაბამის ვადებში შეწყვეტის შემდგომ, დარჩენილი მომსახურებ(ებ)ის აღდგენის შესაბამის ვადებში დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, შესაძლებელია დარჩენილი მომსახურებების აღდგენა; სატელევიზიო მომსახურების შეწყვეტის შემდგომ, აბონენტი ავტომატურად ჩაერთვება ს1 სამმაგ შეთავაზებაში (ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება + DSL ინტერნეტ-მომსახურება + მობილური ქსელით მომსახურება(ს1));

4.13. ოპტიკური (GPON) ფიქსირებული სადენიანი VOIP სატელეფონო ქსელით მომსახურება (სილქ ფონი):

4.13.1. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან ან/და ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი) **არასრული 4 (ოთხი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე) **ვადით;**

4.13.2. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება საბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა;

4.13.3. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარიც) - სრული 4 (ოთხი) თვის ვადით;

4.13.4. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება საბონენტო ნომერი და აღნიშნულ პერიოდში, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, შესაძლებელია მომსახურების აღდგენა ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე;

4.13.5. ორმხრივად შეზღუდვის პერიოდში აბონენტს არ ერიცხება საბონენტო გადასახდელი;

4.13.6. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის **ამოწურვის შესაბამისი თვის მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან ხელშეკრულება წყდება** და კომპანია იტოვებს საბონენტო ნომრის გასხვისების უფლებას;

4.13.7. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ აბონენტს საშუალება ეძლევა ხელახლა დააინსტალიროს/მიიღოს სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის, სატელეფონო ნომრის (თუ არ გასხვისებულა) საფასურის გადახდის (ფასიანი ნომრის შემთხვევაში) და ინსტალაციის ღირებულების გადახდის პირობით.

4.14. ოპტიკური (GPON) ინტერნეტ-მომსახურება:

4.14.1. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება **არასრული 3 (სამ) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) **ვადით.**

4.14.2. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვის **მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე,** ხელშეკრულება წყდება.

4.14.3. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეწყვეტამდე პერიოდში, ნებისმიერ დროს, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

4.14.4. თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ოპტიკური სილქ ინტერნეტ ან/და VOIP სატელეფონო/სილქ ტვ მომსახურება, ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტისას იგი არ არის ვალდებული დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

4.15. ოპტიკური (GPON) სატელევიზიო მომსახურება:

4.15.1. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება **არასრული 3 (სამ) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) **ვადით.**

4.15.2. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვიანი ვადის **მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე,** ხელშეკრულება წყდება.

4.15.3. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეწყვეტამდე პერიოდში, ნებისმიერ დროს, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

4.16. ოპტიკური (GPON) ორმაგი შეთავაზება (სილქ ტვ + სილქ ინტერნეტი):

4.16.1. მომსახურებების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება **არასრული 3 (სამი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) **ვადით.**

4.16.2. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურებების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვიანი ვადის **მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება წყდება.**

4.16.3. მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია მომსახურებების შეწყვეტამდე პერიოდში, ნებისმიერ დროს, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

4.17. ოპტიკური (GPON) სამმაგი შეთავაზება (სილქ ფონი + სილქ ტვ + სილქ ინტერნეტი):

4.17.1. მომსახურებების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, **მომსახურებები იზღუდება:** 1. იზღუდება **ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები** - **არასრული 3 (სამი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) **ვადით,** 2. ასევე **ცალმხრივად იზღუდება (იზღუდება გამავალი ზარი) VOIP სატელეფონო მომსახურება** - **არასრული 4 (ოთხი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე) **ვადით.**

4.17.2. VOIP სატელეფონო მომსახურების **ცალმხრივად შეზღუდვის პერიოდში** აბონენტს **ერიცხება** VOIP სატელეფონო მომსახურების საბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.

4.17.3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა **ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების** შეზღუდვიდან **არასრული 3 (სამ) თვიანი** ვადის **მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე,** ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები **შეწყდება,** ხოლო ხელშეკრულება შეწყდება ნაწილობრივ - ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების ნაწილში.

4.17.4. სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებების შეწყვეტის შემდგომ, აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება ცალკე მდგომი VOIP სატელეფონო მომსახურების პირობები.

4.17.5. VOIP სატელეფონო მომსახურების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე** (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში) **VOIP სატელეფონო** მომსახურება **იზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი) - 4 (ოთხი) თვის ვადით.**
4.17.6. თუ VOIP სატელეფონო მომსახურების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის** განმავლობაში **არ მოხდება** დავალიანების დაფარვა, აღნიშნული ვადის დასრულების **მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში** VOIP სატელეფონო მომსახურება და ხელშეკრულება **ჩაითვლება შეწყვეტილად სრულად.**
4.17.7.სამმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია **ხელშეკრულების შეწყვეტამდე** პერიოდში (შესაბამის ვადებში) ნებისმიერ დროს, დავალიანების დაფარვის პირობით.

4.18. ოპტიკური (GPON) ოთხმაგი შეთავაზება (სილქ ფონი + სილქ ინტერნეტი + სილქ ტვ + მობილური ქსელით მომსახურება (ს1)):
4.18.1. მომსახურებების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, **მომსახურებები იზღუდება:** 1. იზღუდება ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები - **არასრული 3 (სამ) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) **ვადით.** 2. ასევე **ცალმხრივად იზღუდება** (იზღუდება გამავალი ზარი) VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებები - **არასრული 4 (ოთხი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე) **ვადით.**
4.18.2. VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვის პერიოდში** აბონენტს **ერიცხება** VOIP ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურების სააბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.
4.18.3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა **ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების** შეზღუდვიდან **არასრული 3 (სამ) თვიანი** ვადის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 2 თვე) **მომდევნო თვის 5 (ხუთი)** რიცხვამდე, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები **შეწყდება**, ხოლო ხელშეკრულება შეწყდება ნაწილობრივ - ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების ნაწილში.
4.18.4. სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებების შეწყვეტის შემდგომ აბონენტი ავტომატურად ჩაერთვება ს1 ორმაგ შეთავაზებაში (სილქ ფონი + ს1).
4.18.5. VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე** (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში) **VOIP ფიქსირებულიდა ს1 მობილური** ქსელით სატელეფონო მომსახურებები **იზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი) - 4 (ოთხი) თვის** ვადით.
4.18.6. თუ VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში** არ მოხდება დავალიანების დაფარვა, აღნიშნული ვადის დასრულების **მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში** VOIP ფიქსირებული და S1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებები და ხელშეკრულება **ჩაითვლება შეწყვეტილად სრულად.**
4.18.7. ოთხმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია **ხელშეკრულების შეწყვეტამდე** პერიოდში (შესაბამის ვადებში) ნებისმიერ დროს, დავალიანების დაფარვის პირობით.

4.19. DSL ს1 სამმაგი შეთავაზება (ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსახურება + მობილური (ს1) + სილქ ინტერნეტი):
4.19.1. მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, ინტერნეტ-მომსახურება და სატელეფონო (ფიქსირებული სადენიანი და მობილური ქსელის) მომსახურებები იზღუდება ცალმხრივად - არასრული 4 (ოთხი) თვის ვადით (იზღუდება გამავალი ზარები).
4.19.2. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება ფიქსირებული სატელეფონო ქსელით მომსხაურების სააბონენტო გადასახადი, ასევე დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
4.19.3. სატელეფონო მომსახურებების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურებები ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარებიც).
4.19.4. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომრები.
4.19.5. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ (დავალიანების გადაუხდელობისას) წყდება სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებები და სააბონენტო ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.
4.19.6. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული სატელეფონო მომსახურებები, მას არ ერიცხება ს1 სამმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებების სააბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
4.19.7. მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში დავალიანებისა და ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების აღდგენის ღირებულების გადახდის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება, აღიდგინოს ინტერნეტ მომსახურება და სატელეფონო მომსახურებები შესაბამისი სატელეფონო ნომრებით. აღდგენის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს (გარდა ქუთაისისა და კახეთის რეგიონისა (თელავის გამოკლებით)), (აღდგენის ღირებულება შესაძლებელია გადახდილ იქნეს მომსახურების ჩართვიდან მომდევნო თვის სააბონენტო გადასახდთან ერთად).
4.19.8. თუ აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას მომსახურებების პირველი შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში და არ გადაიხდის აღდგენის საფასურს - 20 (ოცი) ლარს (ასეთის არსებობისას), აღნიშნული ვადის დასრულების შესაბამისი თვის მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და კომპანია იტოვებს სატელეფონო ნომრების გასხვისების უფლებას.
4.19.9. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ აბონენტს საშუალება ეძლევა ხელახლა დააინსტალიროს/მიიღოს ინტერნეტ და სატელეფონო მომსახურებები (ს1 სამმაგი შეთავაზების პირობების შესაბამისად), დავალიანების სრულად დაფარვის და ინსტალაციის ღირებულების გადახდის პირობით. თუ მოცემული მომენტისთვის სატელეფონო ნომერი/ები გასხვისებულია, მომხმარებელი ვერ შეძლებს ნომრის/ების დაბრუნებას.

4.20. ოპტიკური (GPON) ს1 სამმაგი შეთავაზება (სილქ ფონი + მობილური (ს1) + სილქ ინტერნეტი):
4.20.1. მომსახურებების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, **მომსახურებები იზღუდება:** 1. იზღუდება ინტერნეტ მომსახურება **- არასრული 3 (სამი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 2 თვე) ვადით, 2. ასევე **ცალმხრივად იზღუდება** (იზღუდება გამავალი ზარი) **VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით** სატელეფონო მომსახურებები - **არასრული 4 (ოთხი) თვის ვადით.**
4.20.2. VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვის** პერიოდში **აბონენტს ერიცხება** VOIP სატელეფონო მომსახურების სააბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ჯარიმა.
4.20.3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა ინტერნეტ მომსახურების შეზღუდვიდან **არასრული 3 (სამ) თვიანი** ვადის **მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე,** ინტერნეტ მომსახურება შეწყდება, ხოლო ხელშეკრულება **შეწყდება** ნაწილობრივ - ინტერნეტ მომსახურების ნაწილში.
4.20.4. ინტერნეტ მომსახურებების შეწყვეტის შემდგომ, აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება ს1 ორმაგი შეთავაზების (VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებები) პირობები;
4.20.5. VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე** (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), **VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით** სატელეფონო მომსახურებები **იზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი) - 4 (ოთხი) თვის ვადით.**
4.20.6. თუ VOIP ფიქსირებული და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებების **ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის** განმავლობაში **არ მოხდება** დავალიანების დაფარვა, აღნიშნული ვადის დასრულების **მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში**, VOIP სატელეფონო და ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებები შეწყდება და **ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.**
4.20.7. ს1 სამმაგ შეთავაზებაში შემავალი მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში (შესაბამის ვადებში) ნებისმიერ დროს, დავალიანების დაფარვის პირობით.

4.21. ს1 ორმაგი შეთავაზება (ოპტიკური (GPON) VOIP ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება (სილქ ფონი) + მობილური (ს1)):
4.21.1. მომსახურებების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხდება სილქ ფონის პირობების შესაბამისად.
4.21.2. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება ოპტიკური ფიქსირებული სადენიანი VOIP სატელეფონო ქსელით მომსახურების სააბონენტო გადასახადი, ასევე დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
4.21.3. სატელეფონო მომსახურებების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურებები ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარებიც).
4.21.4. სატელეფონო მომსახურებების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომრები.
4.21.5. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული ს1 ორმაგ შეთავაზებაში შემავალი სატელეფონო მომსახურებები, მას არ ერიცხება მომსახურებების სააბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.

4.22. ს1 ორმაგი შეთავაზება (სპილენძის სააბონენტო-სახაზო ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურება + მობილური (ს1)):
4.22.1. მომსახურებების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხდება ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურების პირობების შესაბამისად.
4.22.2. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო ქსელით მომსახურების სააბონენტო გადასახადი, ასევე დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
4.22.3. სატელეფონო მომსახურებების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურებები ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარებიც).
4.22.4. სატელეფონო მომსახურებების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომრები.
4.22.5. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული ს1 ორმაგ შეთავაზებაში შემავალი სატელეფონო მომსახურებები, მას არ ერიცხება მომსასახურებების სააბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.

4.23. ს1 ორმაგი შეთავაზება (ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება (CDMA) + მობილური (ს1)):
4.23.1. მომსახურებების შეზღუდვა, შეწყვეტა და აღდგენა ხდება ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურების პირობების შესაბამისად.
4.23.2. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული არასრული 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურების სააბონენტო გადასახადი - 0.50 ლარი.
4.23.3. სატელეფონო მომსახურებების ცალმხრივად შეზღუდვიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურებები ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარებიც).
4.23.4. სატელეფონო მომსახურებების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომრები.
4.23.5. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული ს1 ორმაგ შეთავაზებაში შემავალი სატელეფონო მომსახურებები, მას არ ერიცხება მომსახურებების სააბონენტო გადასახადი.

4.24. ფიქსირებული უსადენო ქსელით სატელეფონო მომსახურება (CDMA):
4.24.1. მომსახურების ღირებულების გადაუხდელობისას და/ან ლიმიტის ამოწურვისას, დავალიანების წარმოქმნიდან არასრული 3 (სამი) თვის დასრულების შემდეგ, მეოთხე თვის 1 ან 2 რიცხვში სატელეფონო მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება შემავალი ზარი).
4.24.2. მომსახურების შეზღუდვის თარიღისთვის, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის დავალიანება არ აღემატება 0.10 ლარს (ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0.10 ლარზე გამრავლებით მიღებულ თანხას), აბონენტს სატელეფონო მომსახურება არ ეზღუდება და არსებული დავალიანება გადადის მომდევნო თვეში;
4.24.3. ცალმხრივად შეზღდუდვიდან არასრული 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, სატელეფონო ანგარიშს ყოველთვიურად ერიცხება სააბონენტო გადასახადი 0.50 ლარის ოდენობით;
4.24.4. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 12 (თორმეტი) თვის შემდგომ, მომსახურება იზღუდება ორმხრივად (ეზღუდება გამავალი ზარებიც).
4.24.5. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომერი.
4.24.6. ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), ხელშეკრულება წყდება და კომპანია იტოვებს უფლებას, გაასხვისოს სატელეფონო ნომერი.
4.24.7. „ლაითი“ პაკეტის შემთხვევაში მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვა ხდება:
1) ანგარიშზე თანხის ამოწურვისთანავე ან/და
2) თვის 2 რიცხვში, იმ შემთხვევაში თუ წინა სამი კალენდარული თვის განმავლობაში არ მოხდა სატელეფონო ანგარიშზე თანხის შეტანა (მიუხედავად დადებითი ბალანსის არსებობისა);
ცალმხრივად შეზღუდვიდან 2 (ორი) თვის გასვლისთანავე მომსახურება იზღუდება ორმხრივად 4 (ოთხი) თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება წყდება და აბონენტს სატელეფონო ნომერი აღარ ენახება.
4.24.8. მომსახურების აღდგენა:
ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო ნომერი და სატელეფონო მომსახურება.
ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ აბონენტს საშუალება ეძლევა ხელახლა გაიაქტიუროს/მიიღოს სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით. თუ მომსახურების აღდგენის დროს სატელეფონო ნომერი გასხვისებულია, მომხმარებელი ვერ შეძლებს იმავე ნომრის დაბრუნებას.

4.25. ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებების დაშლა:
4.25.1. ოპტიკურ–ბოჭკოვანი ინტერნეტის, ოპტიკურ–ბოჭკოვანი/DSL სილქ ტვ–ის, ასევე იმ ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებების დროს, რომლებიც მოიცავენ ზემოაღნიშნულ მომსახურებებს, დავალიანების გადაუხდელობისას, შეზღუდვიდან არასრული სამი თვის (შემდგომში „არასრული სამთვიანი ვადა“) ამოწურვის შემდეგ, მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვში (შემდგომში „შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდი”), მოხდება შეთავაზების ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი (ასეთის არსებობისას) დაშლა და ზემოაღნიშნული სახის მომსახურებ(ებ)ის შეწყვეტა; აღნიშნულ შემთხვევაში, მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის შეწყვეტას არ ექვემდებარება ფიქსირებული/ოპტიკურ–ბოჭკოვანი სატელეფონო და DSL–ინტერნეტ მომსახურებ(ებ)ი;
4.25.2. ოპტიკურ–ბოჭკოვანი ინტერნეტის, ოპტიკურ–ბოჭკოვანი/DSL სილქ ტვ–ის მომსახურებ(ებ)ის ამდაგვარი შეწყვეტა ჩაითვლება ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ხელშეკრულების ცვლილებად – შეთავაზების დაშლად, რაც ნიშნავს, რომ აბონენტს, შეწყვეტის მომენტიდან, აქტიურად დარჩენილი მომსახურებები მიეწოდება ცალკემდგომი/ორმაგი/სამმაგი (შესაბამისად იმისა, თუ რამდენი მომსახურება შეინარჩუნა) შეთავაზების იმ სატარიფო პაკეტის ტარიფებითა და პირობებით, რომელიც შეესაბამება დაშლილ შეთავაზებაში შემავალი ამავე (შენარჩუნებული) მომსახურებების მიწოდების საწყის (და არა შეღავათიან) სატარიფო პაკეტს.
4.25.3. ოპტიკურ–ბოჭკოვანი ინტერნეტის, ოპტიკურ–ბოჭკოვანი/DSL სილქ ტვ–ის მომსახურებების შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში, ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების დავალიანების სრულად დაფარვის და აღდგენის საფასურის (ასეთის არსებობისას) გადახდის შემთხვევაში, შეზღუდული მომსახურებ(ებ)ის გააქტიურება მოხდება შეთავაზების ფარგლებში.
4.25.4. შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის გასვლის შემდეგ შეწყვეტილი მომსახურებების მიღება შესაძლებელი იქნება ხელახალი ინსტალაციის შედეგად, შესაბამისი მომსახურებებისთვის განსაზღვრული ახალი სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.
4.25.5. აბონენტი ვალდებულია, მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის ამოწურვამდე დააბრუნოს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური მოწყობილობები. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებები/შეთავაზება მოიცავს ოპტიკურ–ბოჭკოვან სატელეფონო ან DSL ინტერნეტ მომსახურებას და ამასთან, აბონენტი ინარჩუნებს მათ (რა დროსაც მოდემი საჭიროა ამ სახის მომსახურებების მისაწოდებლად), შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში აბონენტი მოდემს არ აბრუნებს.
4.25.6. შეზღუდვიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში, (ხოლო შენარჩუნებულ მომსახურებებზე – შესაბამის ვადებში) აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აბონენტზე მოხდება მოწყობილობების სარეალიზაციო ღირებულების დარიცხვა (შეწყვეტისთანავე).
4.25.7. ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების დაშლის შემდეგ, ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების დავალიანების კვლავ გადაუხდელობის შემთხვევაში, აქტიურად დარჩენილ მომსახურებებზე შეზღუდვის ვადის ათვლა გაგრძელდება უკვე შეწყვეტილი მომსახურებების შეზღუდვის მომენტიდან, აქტიურად დარჩენილი მომსახურებების შეწყვეტისთვის დადგენილი ვადის შესაბამისად;
4.25.8. ორმაგი/სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების დაშლის შემთხვევაში, აქტიურად დარჩენილი მომსახურებები აბონენტს მიეწოდება ცალკემდგომი/ორმაგი/სამმაგი (შესაბამისად იმისა, თუ რამდენი მომსახურება შეინარჩუნა) შეთავაზების იმ სატარიფო პაკეტის ტარიფებითა და პირობებით, რომელიც შეესაბამება დაშლილ შეთავაზებაში შემავალი ამავე (შენარჩუნებული) მომსახურებების მიწოდების საწყის (და არა შეღავათიან) სატარიფო პაკეტს.
4.25.9. ოპტიკური ოთხმაგი შეთავაზების მომსახურების დაშლის შემთხვევაში, აბონენტს აქტიურად დარჩენილ მომსახურებები მიეწოდება ორმაგი შეთავაზების (ფიქსირებული სატელეფონო/ოპტიკურ–ბოჭკოვანი სატელეფონო მომსახურება) იმავე სატარიფო პაკეტის ტარიფებით და პირობებით, რომელიც შეესაბამება დაშლილ შეთავაზებაში შემავალი ამავე (შენარჩუნებული) მომსახურებების მიწოდების სატარიფო პაკეტს.
4.25.10. იმისთვის, რომ აბონენტმა დაშალოს S1 სამმაგი შეთავაზების პაკეტი ან გააუქმოს სამმაგი შეთავაზების ერთი ან რამდენიმე მომსახურება, აუცილებელია სრულად დაფაროს სამმაგი შეთავაზების ანგარიშზე არსებული წინა თვის დავალიანება. შეთავაზების დაშლა გულისხმობს აღნიშნულ შეთავაზების პაკეტში შემავალი მომსახურების სახეების ცალკეულ ტარიფებზე გადაყვანას ან ერთ–ერთი მათგანის გაუქმებას. შეთავაზების დაშლის შემთხვევაში მომსახურების ცალკეულ სახეებზე გავრცელდება შესაბამისი მომსახურების პირობები. ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების გაუქმებისას ავტომატურად უქმდება ინტერნეტ–მომსახურება.

4.26. მომსახურების დროებით შეჩერება: დროებით შეჩერების მომსახურება ვრცელდება სილქნეტის ყველა პროდუქტზე, გარდა ცალკემდგომ ან სპეციალურ შეთავაზებაში შემავალ S1–ი მობილური/CDMA უსადენო ფიქსირებულ სატელფონო და EVDO ინტერნეტ მომსახურებებისა; დროებით შეჩერების მაქსიმალური პერიოდია მომსახურების დროებით შეჩერების დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 11 (თერთმეტი) თვე; აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, მომსახურების დროებით შეჩერების გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია ხელახლა დააფიქსიროს თავისი მოთხოვნა (სერვის-ცენტრში მისვლით ან ცხელ ხაზზე დარეკვითა და კოდური სიტყვის დასახელებით). დროებით შეჩერების მაქსიმალური ვადის ამოწურვისას - მისი განუახლებლობის შემთხვევაში ავტომატურად აღდგება შეჩერებული სატელეკომუნიკაციო მომსახურება. დროებითი შეჩერების ღირებულების გადაუხდელობის, ან დადებითი ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში (მომსახურებისთვის, რომელზეც ვრცელდება წინასწარი გადახდის სისტემა), შეწყდება დროებით შეჩერების მომსახურება და შეჩერებული მომსახურებები გადავა შეზღუდვის რეჟიმში, იმის მსგავსად, თუ რომელ რეჟიმში გადავიდოდა ორმხრივად ჩართული მომსახურებები ყოველთვიური ღირებულების გადაუხდელობისას (კონკრეტული მომსახურებისათვის დადგენილი სტანდარტული პირობებით); დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა და გადახდა ხდება შეჩერებეული მომსახურებების ყოველთვიური სააბონენტოს გადახდის წესის ანალოგიურად; იმ შემთხვევაში, თუ ერთ ანგარიშზე არის ფიქსირებული სატელეფონო და დსლ ინტერნეტ მომსახურება, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების დროებით შეჩერებისას, თუ დსლ ინტერნეტ მომსახურება უკვე არის დროებით შეჩერებული, მოხდება დსლ ინტერნეტ მომსახურების შეჩერების პერიოდის განულება და დსლ ინტერნეტ მომსახურების შეჩერების პერიოდის ათვლა დაიწყება თავიდან - ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების დროებით შეჩერებისთანავე; მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია, მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე არ ირიცხებოდეს მინიმალური (წინა თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით დარიცხული) დავალიანება. ცალკეულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე დროებით შეჩერების მომსახურების ღირებულება და სხვა დამატებითი პირობები განთავსებულია კომპანიის ვებ-გვერდზე.

4.27. ფასიან ნომრებზე სატელეფონო მომსახურების ხელახალი გააქტიურება: სააბონენტო ხელშეკრულებების მთლიანად ან ნაწილობრივ (სატელეფონო მომსახურების ნაწილში) შეწყვეტის შემდგომ, ფასიანი ნომრის შემთხვევაში მომსახურების ხელახალი აქტივაციის სურვილის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია, გარდა დავალიანებისა და ინსტალაციის საფასურის (ასეთის არსებოსის) გადახდისა, ხელახლა გადაიხადოს ფასიანი ნომრის გააქტიურების მომენტისთვის მოცემულ ნომერზე კომპანიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასური (ფასები იხ. კომპანიის ვებ-გვედრზე).

4.28. ინსტალაციის საშეღავათო ღირებულების დარიცხვის პირობები:
4.28.1. აბონენტის ინიციატივით ერთ ანგარიშზე ჩართული ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის (ნებისმიერი კომბინაციის, რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურებას, გარდა სილქ ტვ და სილქფონის კომბინაციისა) ან სამმაგი შეთავაზების არსებობისას, აბონენტის ინიციატივით მომსახურებ(ებ)ის გაუქმების შემთხვევაში, თუ მომსახურებ(ებ)ის გაუქმების შემდეგ ანგარიშზე რჩება მხოლოდ სილქ ტვ ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად, აბონენტს დაერიცხება ინსტალაციისას დაურიცხავი საშეღავათო ღირებულება (ტარიფი იხ. N1 დანართში - სატარიფო ცხრილები);
4.28.2. თუ ანგარიშზე პირველად მოხდა/მოხდება სილქ ტვ-ის ან სილქფონის (ან სილქ ტვ და სილქფონის ერთად) ინსტალაცია, შემდეგ კი მომსახურებ(ებ)ის დამატება ან მომსახურ(ებ)ის დამატებით გასამმაგება, აბონენტის ინიციატივით მომსახურებ(ებ)ის გაუქმების შემთხვევაში, ისე რომ მომსახურებ(ებ)ის გაუქმების შემდეგ ანგარიშზე რჩება მხოლოდ სილქ ტვ ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად, აბონენტს არ დაერიცხება ინსტალაციისას დაურიცხავი საშეღავათო ღირებულება;
4.28.3. ინსტალაციისას დაურიცხავი საშეღავათო ღირებულების დარიცხვა განხორციელდება მომსახურების გაუქმებისთანავე - ავტომატურად;
4.28.4. აღნიშნული პირობები ვრცელდება არსებულ (მოცემული პირობის ძალაში შესვლამდე არსებული აბონენტები) და ახალ აბონენტებზე.
4.28.5. აღნიშნული პირობები არ ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც მომსახურებას აუქმებენ პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და მომსახურების გაუქმებამდე სარგებლობდნენ/ისარგებლებენ ოპტიკური ინტერნეტ და ტვ მომსახურებით ერთად (ან კომბინაციით/შეთავზებით, რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომსახურებებს) არანაკლებ 18 თვის განმავლობაში უწყვეტად (არ მომხდარა მომსახურების გაუქმება);
4.28.6. აღნიშნული პირობები არ ვრცელდება აბონენტებზე, რომლებმაც „საშეღავათო ინსტალაციის 6 თვიანი“ აქციის ფარგლებში დაიმატეს ინტერნეტ-მომსახურება და რომლებთანაც პირველადი („სილქნეტის“ ოპტიკურის მომსახურებებიდან არჩეული პირველი მომსახურების) ინსტალაციისას არ მომხდარა სილქ ტვ-ის ან სილქფონის (ან სილქ ტვ და სილქფონის ერთად) ინსტალაცია, და რომლებიც მომსახურებას გააუქმებენ მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რა დროსაც მომსახურების გაუქმებამდე 18 თვის განმავლობაში მათი მხრიდან ადგილი არ ქონია უწყვეტად ოპტიკური ინტერნეტ და ტვ მომსახურებით ერთდროულ (ან კომბინაციით/შეთავზებით, რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომსახურებებს) სარგებლობას.

4.29. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ პირობები
4.29.1. ოპტიკური (GPON/P2P) და DSL მომსახურებ(ებ)ის/შეთავაზებ(ებ)ის მიმღები აბონენტები შეძლებენ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით, რომლის ფარგლებშიც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, აღიდგინონ დავალიანების გადაუხდელობის გამო შეზღუდული ძირითადი მომსახურება/ები და ისარგებლონ აღნიშნული ძირითადი მომსახურებ(ებ)ით გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამავე პერიოდში, ზემოაღნიშნული დავალიანების დაფარვისა და სადეპოზიტო/საავანსო თანხის სააბონენტო ანგარიშზე დარიცხვის გარეშე, რისთვისაც აბონენტებს ერთჯერადად დაერიცხებათ დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების ღირებულება.
4.29.2.აბონენტს მომსახურების გააქტიურება შეუძლია ძირითადი მომსახურების **შეზღუდვიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.**
4.29.3. მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სერვის ცენტრების, ცხელი ხაზის, ასევე კომპანიის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული აბონენტის საკონტაქტო ნომრიდან შესაბამის სპეციალურ ნომერზე **(90 001)** სმს შეტყობინების სახით აბონენტის ანგარიშის ნომრის გაგზავნით.
4.29.4. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ ვრცელდება შემდეგი მომსახურებების/კომბინაციის მომხმარებლებზე:
4.29.4.1. ფიზიკურ პირ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ტექნოლოგიის შემდეგი მომსახურებებით: ცალკე მდგომი ინტერნეტი, ცალკე მდგომი სილქ ტვ ან სილქფონის, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციით, ან სპეციალური შეთავაზებით (სამმაგი/ოთხმაგი, ს1 სამმაგი);
4.29.4.2. ფიზიკურ პირ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ერთ სააბონენტო ანგარიშზე DSL ტექნოლოგიის შემდეგი მომსახურებებით: სატელეფონო, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების ნებისმიერი კომბინაციით ან სპეციალური შეთავაზებით (სამმაგი/ოთხმაგი, ს1 სამმაგი).
4.29.5. სხვადასხვა ანგარიშზე არსებული DSL ტექნოლოგიის მომსახურებებისთვის დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე - თითოეულ ანგარიშზე (შესაბამისად თითოეულ ანგარიშზე განხორციელდება კრედიტის შესაბამისი ღირებულების ცალ-ცალკე დარიცხვა).
4.29.6. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ არ ვრცელდება ცალკე მდგომ შემდეგ მომსახურებებზე: ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, S1, Silk UP და Silk TV Go, ასევე მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, თუ აღნიშნული მომსახურებების სააბონენტო ანგარიშზე არ ფიქსირდება ოპტიკური/DSL სილქ ტვ ან/და ინტერნეტ მომსახურება.
4.29.7. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ აბონენტი ისარგებლებს იმ შემთხვევაში, თუ სილქ ტვ ან ინტერნეტ მომსახურების ინსტალაციიდან გასულია არანაკლებ 2 (ორი) თვე. თუ ერთ სააბონენტო ანგარიშზე ჩართულია ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურება ერთად, კრედიტით სარგებლობისათვის ერთი-ერთი მომსახურების ინსტალაციიდან გასული უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) თვე.
4.29.8. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის ვადა განისაზღვრება მისი **გააქტიურებიდან 3 ან 7 კალენდარული დღით** (აბონენტის სურვილის მიხედვით) (ტარიფები იხ. კომპანიის ვებ გვერდზე **www.Silknet.com**).
4.29.9. იმისათვის, რომ აბონენტებმა ისარგებლოს დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“, მან უნდა დააფიქსიროს დამატებითი მომსახურებით სარგებლობის სურვილი, მომსახურების 4.29.3 პუნქტით განსაზღვრული გააქტიურების საშუალებებით.
1.29.10. დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ აბონენტს საშუალებას აძლევს დავალიანების გადაუხდელობის გამო შეზღუდული მომსახურება(ები) გაიაქტიუროს 4.29.8 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ვადით. აღნიშნული დამატებითი მომსახურებით ხდება აბონენტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებული ყველა მომსახურების აღდგენა (ინტერნეტი, ტელევიზია, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, S1, Silk UP და Silk TV Go).
1.29.11. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მომსახურებ(ებ)ის მიწოდება შეზღუდულია დავალიანების გადაუხდელობის გამო.
1.29.12. აბონენტს დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურება შეუძლია მომსახურებ(ებ)ის დავალიანების გადაუხდელობის გამო ძირითადი მომსახურებ(ებ)ის **შეზღუდვიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში,** ამასთან, ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვამდე და მხოლოდ ერთხელ. შეზღუდულია დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების სხვადასხვა ვადით ერთდროულად სარგებლობის შესაძლებლობა.
1.29.13. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ შეწყვეტისთვის საკმარისია, აბონენტმა დაფაროს ვადაგადაცილებული დავალიანება.
1.29.14. სხვადასხვა ძირითად მომსახურებებზე/ შეთავაზებებზე, სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალიანების ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, მოხდება დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის შეწყვეტა (მიუხედავად იმისა, ამოიწურა თუ არა „კრედიტით“ სარგებლობის ვადა). ამასთან, გარდა 4.29.13 და 4.29.14 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა, გააქტიურებული დამატებითი მომსახურება „კრედიტი“ არ გაუქმდება „კრედიტის“ მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
1.29.15. მომსახურება „კრედიტით“ სარგებლობის პერიოდში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს შეეზღუდება ძირითადი მომსახურება(ებ)ი დამატებით მომსახურება „კრედიტის“ მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.
1.29.16. მომსახურებით „კრედიტი“ მოსარგებლე აბონენტისთვის, დავალიანების გადაუხდელობის გამო ძირითადი მომსახურებ(ებ)ის / შესაბამისი ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის (გაუქმების) პერიოდი აითვლება მომსახურების „კრედიტი“ ფარგლებში გააქტიურებული ძირითადი მომსახურებ(ებ)ის ბოლო შეზღუდვიდან.
1.29.17. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“ გააქტიურების ღირებულების დარიცხვა განხორციელდება ერთჯერადად, დამატებითი მომსახურების გააქტიურებისთანავე.
1.29.18. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში აბონენტს დაერიცხება იმ ძირითადი მომსახურებ(ებ)ის სტანდარტული სააბონენტო გადასახდელი, რომლებზეც გავრცელდა მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის უფლება.
1.29.19. დამატებითი მომსახურების „კრედიტი“გააქტიურების ღირებულება აბონენტმა უნდა დაფაროს კრედიტის გააქტიურების თვის მომდევნო თვეში, სააბონენტო გადასახდელის გადახდისთვის დადგენილი თარიღისთვის.
1.29.20. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში დარიცხული სააბონენტო გადასახდელი აბონენტმა უნდა დაფაროს დამატებითი მომსახურებით სარგებლობის შესაბამისი თვის სააბონენტო გადასახდელის გადახდისთვის დადგენილი თარიღისთვის.
1.29.21. დამატებითი მომსახურებით „კრედიტი“ სარგებლობის პერიოდში შეზღუდულია ძირითადი მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა.

4.30. ოპტიკური მომსახურებების რეინსტალაცია
4.30.1. ოპტიკურ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე დავალიანების გადაუხდელობის გამო მომსახურების / ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს, რომელიც იღებდა ''კომპანიის'' ''ოპტიკურ მომსახურებებს'' და არ დაუბრუნებია აღნიშნული ტექნიკური მოწყობილობები ან პირს, რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არის შეწყვეტილი ოპტიკური მომსახურებების მისაღებად გამოყენებული შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობები, უფლება აქვს, მოითხოვოს შეწყვეტილი (ერთი ან რამდენიმე) მომსახურებ(ებ)ის ანალოგიური ოპტიკური მომსახურებების რეინსტალაცია (შემდგომში ''რეინსტალაცია'') იმავე მისამართზე, რაც გულისხმობს შეწყვეტილი მომსახურების ანალოგიური მომსახურებების ინსტალაციას შეღავათიანი ფასით / პირობებით.
4.30.2. რეინსტალაციაზე რეგისტრაციის ვადაა მომსახურებ(ებ)ის / სააბონენტო ხელშეკრულების დავალიანების გამო კომპანიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტიდან 6 (ექვსი) თვე; აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შეზღუდულია მომსახურებაზე "მომსახურების რეინსტალაცია" რეგისტრაცია.

4.30.3. რეინსტალაცია შესაძლებელია, თუ რეინსტალაციის მსურველ პირს დაბრუნებული არა აქვს ის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა/ზები, რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი ''ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის'' მიღებისას. მოწყობილობ(ებ)ის გამოყენების მიზნით კომპანია განახორციელებს რეინსტალაციის მსურველი პირისაგან აღნიშნული მოწყობლობ(ებ)ის შესყიდვას და მათი (მოწყობილობ(ებ)ის) ამავე პირისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე.
4.30.4. მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციისას, ინსტალირდება ის მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის მიღების დროს. დაზიანებული მოწყობილობის არსებობის შემთხვევაში (დაზიანება არ არის გამოწვეული აბონენტის ბრალეულობით) მოხდება დაზიანებული მოწყობილობის შეცვლა კომპანიაში არსებული სტანდარტული პირობების შესაბამისად.
4.30.5. თუ რეინსტალაციის პროცესში აღმოჩნდება, რომ მოწყობილობა დაზიანებულია და დაზიანება გამოწვეულია რეინსტალაციის მსურველი ან მესამე პირის ბრალეული ქმედებით, ჩაითვლება, რომ კომპანიის მიერ მოწყობილობის შესყიდვის ოპერაცია გაუქმებულია და რეინსტალაცია განხორციელდება სხვა შესაბამისი მოწყობილობით (არ ხდება მოწყობილობ(ებ)ის დაუბრუნებლობის გამო დარიცხული სარეალიზაციო ღირებულების კორექტირება).
4.30.6. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს / რეინსტალაციის მსურველ პირს არ დაუბრუნებია მოწყობილობები (რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის მიღებისას) და ამავე დროს აცხადებს, რომ აღნიშნული მოწყობილობები არ არის მის მფლობელობაში, რეინსტალაციაზე რეგისტრაციის განაცხადი არ მიიღება. თუ რეინსტალაციის მსურველ პირთან ადგილზე ვიზიტისას დადგინდება, რომ მას მფლობელობაში არა აქვს შეწყვეტილ მომსახურებ(ებ)ზე გამოყენებული მოწყობილობები, რეინსტალაციის განაცხადის მიღების მიუხედავად, მასთან მომსახურებ(ებ)ის რეინსტლაცია არ განხორციელდება. აღნიშნული განაცხადი გაუქმდება და რეინსტალაციის სურვილის შემთხვევაში რეგისტრაცია უნდა მოხდეს ხელმეორედ.
4.30.7. იმ შემთხვევაში, თუ შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის შესაბამის საბონენტო ანგარიშზე ფიქსირდება სხვა ისეთ მომსახურება/მომსახურებები, რომლის შესაბამისი ხელშეკრულებაც არ არის შეწყვეტილი, იზღუდება მესამე პირის (სხვა პირი, რომლის ფაქტობრივ და მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები და რომელიც არ ყოფილა რეგისტრირებული შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებების მიმღებ აბონენტად), რეგისტრაცია იმ შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციაზე, რომლის მიღებაც ხდებოდა ამავე საბონენტო ანგარიშის ფარგლებში.
4.30.8. რეინსტალაციაზე რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა მოხდეს მოწყობილობის იდენტიფიცირება, იმ ფაქტის დასადგენად, რომ აღნიშნული მომსახურება/ ხელშეკრულება შეწყვეტილია. იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია, რეინსტალაციის მსურველმა პირმა რეგისტრაციისას დააფიქსიროს მომსახურების ანგარიშის ნომერი ან/და მომსახურებების მოწყობის მისამართი.
4.30.9. რეინსტალაციაზე რეგისტრაციის დროს, რეინსტალაციის მსურველმა პირმა უნდა დააფიქსიროს, თუ რომელი შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაცია სურს მას. რეგისტრაციისას აბონენტი ირჩევს რეინსტალაციაზე რეგისტრაციის პერიოდისათვის მოქმედ ნებისმიერ საბონენტო პაკეტს/ებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი საბონენტო პაკეტ(ებ)ით სარგებლობდა აბონენტი რეინსტალაციას ქვემდებარე შეწყვეტილ მომსახურებ(ებ)ზე.
4.30.10. შეზღუდულია რეინსტალაციაზე და ახალი მომსახურების ინსტალაციაზე ერთდროული რეგისტრაცია მომსახურების ერთსა და იმავე მისამართზე.
4.30.11. დავალიანების გადაუხდელობის გამო საბონენტო ხელშეკრულებისა და ოპტიკური მომსახურებების ავტომატურად შეწყვეტის (გაუქმების) შემდეგ, რეინსტალაციის მსურველ პირს შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს ერთი ან რამდენიმე მომსახურების რეინსტალაცია - რაც გულისხმობს შეწყვეტილი/გაუქმებული მომსახურების ხელახალ ინსტალაციას/გააქტიურებას რეინსტალაციის მსურველი პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მოწყობილობ(ებ)ით.
4.30.12. რეინსტალაციის მსურველი პირისგან მოწყობილობის კომპანიის მიერ შესყიდვისას, მოწყობილობების გამოსყიდვის ფასი აისახება შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის შესაბამის საბონენტო ანგარიშზე. რეინსტალაციის დროს რეინსტალაციის მსურველი პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მოწყობილობები, კომპანიის მიერ გამოსყიდვის შემდეგ, რეინსტალაციის მსურველ პირს (აბონენტს) გადაეცემა დროებით სარგებლობაში.
4.30.13. იმ შემთხვევაში, თუ ხდება სილქფონ სატელეფონო მომსახურების რეინსტალაცია და სატელეფონო ნომერი რეინსტალაციის მოთხოვნის მომენტისთვის გასხვისებულია, აღნიშნული მომსახურების რეინსტალაციისას აბონენტს დროებით სარგებლობაში გადაეცემა ახალი სატელეფონო ნომერი.
4.30.14. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ყველა შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურების რეინსტალაცია, რეინსტალაციის მსურველმა პირმა უნდა დააბრუნოს იმ მომსახურების შესაბამისი მოწყობილობა/ები ან გადაიხადოს მათზე დარიცხული შესაბამისი სარეალიზაციო ღირებულება/ები, რომლის (მოწყობილობის) შესაბამისი მომსახურების რეინსტალაციაც არ ხდება. ასეთი მოწყობილობ(ებ)ის დაბრუნება უნდა მოხდეს მომსახურების რეინსტალაციამდე პერიოდში, რეინსტალაციის მსურველი პირის მიერ მოწყობილობის სერვის ცენტრში მიტანის გზით.
4.30.15. იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობა/ები, მათ შორის, დამატებითი (wifi , wireless access point) მოწყობილობა/ები დაზიანებულია რეინსტალაციის მსურველი ან მესამე პირის ბრალეული ქმედებით, მომსახურების რეინსტალაციისას დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის სანაცვლოდ რეინსტალაციის მსურველ პირს დროებით სარგებლობაში გადაეცემა დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის ანალოგიური ახალი მოწყობილობა/ები. ასეთ შემთხვევაში, რეინსტალაციის მსურველი პირი/აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის სარეალიზაციო ღირებულება. ახალი დამატებითი მოწყობილობ(ებ)ის დროებით სარგებლობაში გადაცემისას გავრცელდება პირველადი ინსტალაციისას, აბონენტებისთვის, ამ ტიპის მოწყობილობის გადაცემა/ინსტალაციის კომპანიაში მოქმედი სტანდარტული პირობები; დაზიანებული მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულების გადახდა ხდება რეინსტალაციის ღირებულების გადახდასთან ერთად.
4.30.16. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მოწყობილობას აქვს ქარხნული წუნი, დაზიანებული მოწყობილობის შეცვლა მოხდება კომპანიაში მოქმედის სტანდარტული პირობის შესაბამისად.
4.30.17. რეინსტალაციის ღირებულების გადახდა ხდება შემდეგი წესით: თუ რეინსტალირებული მომსახურების/ების შესაბამის საბონენტო ანგარიშზე არის აქტიური მომსახურებაც, გადასახადის გადახდა ხდება მომდევნო საანგარიშო თვეში საბონენტო გადასახდელთან ერთად; ხოლო თუ საბონენტო ანგარიშზე არ ფიქსირდება აქტიური მომსახურება, გადახდა ხდება რეინსტალირებული მომსახურების/ების გაატიურებიდან / ჩართვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
4.30.18. მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციაზე რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, რეინსტალაციის მსურველმა პირმა (რომელიც რეინსტალაციას ქვემდებარე, შეწყვეტილ მომსახურებებზე რეგისტრირებული იყო აბონენტად) უნდა დაფაროს მიმდინარე დავალიანება (გარდა საბონენტო ანგარიშზე დარიცხული, მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულებისა).
4.30.19. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციაზე მოთხოვნას აფიქსირებს მესამე პირი (რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები), მას არ აქვს ვალდებულება, დაფაროს შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებების შესაბამის საბონენტო ანგარიშზე არსებული დავალიანება.
4.30.20. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციის მოთხოვნა დაფიქსირებულია იმ აბონენტის მიერ, ვის სახელზეც იყო მომსახურება/ები რეგისტრირებული, მაშინ მომსახურება აღდგება იგივე საბონენტო ანგარიშზე, რომელ ანგარიშზეც იყო მომსახურებები რეგისტრირებული ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
4.30.21. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციის მოთხოვნა დაფიქსირებულია მესამე პირის მიერ (რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები), მაშინ მომსახურება/ები აღდგება ახალ საბონენტო ანგარიშის ნომერზე.
4.30.22. რეინსტალაციის ღირებულება აბონენტს დაერიცხება რეინსტალაციის პირობით მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დასრულებისთანავე.
4.30.23. 10 მეტრი კაბელის ღირებულება გათვალისწინებულია რეინსტალაციის ღირებულებაში. ყოველ დამატებით ერთ მეტრ კაბელზე ინსტალაციის ღირებულება გაიზრდება შესაბამისი ტიპის კაბელის ერთი მეტრის ღირებულებით.
4.30.24. რეინსტალაციის შემდეგ მომსახურებაზე/ებზე მოქმედებს შესაბამისი მომსახურებების პროდუქტებით განსაზღვრული სტანდარტული ტარიფები.
4.30.25. თუ რეინსტალაციამდე აბონენტი სარგებლობდა ოთხმაგი შეთავაზებით და ინტერნეტ და სილ ტვ მომსახურება არის გაუქმებული, ხოლო სილქფონი და მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება არის ს1 ორმაგ შეთავაზებაში ჩართული, ინტერნეტის და სილქ ტვ მომსახურების რეინსტალაციის შემთხვევაში, მომსახურებებზე ავტომატურად გააქტიურდება სამმაგი შეთავაზება (სილქფონი, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები), ხოლო მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება აბონენტს გაუაქტიურდა, როგორც ცალკე მდგომი მომსახურება, რის შემდგომ (აბონენტის სურვილის შემთხვევაში), განაცხადის საფუძველზე უნდა მოხდეს მობილული ქსელით (ს1) სატელეფონო მომსახურების ოთხმაგ შეთავაზებაში ჩართვა.
4.30.26. თუ რეინსტალაციამდე აბონენტი სარგებლობდა ოთხმაგი შეთავაზებით და ინტერნეტ და სილ ტვ მომსახურება არის გაუქმებული, ხოლო სილქფონი და მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება არის ს1 ორმაგ შეთავაზებაში ჩართული, მხოლოდ სილქ ტვ მომსახურების რეინსტალაციის შემთხვევაში აბონენტს შეუნარჩუნდება ს1 ორმაგი შეთავაზება და სილქ ტვ მომსახურება დარეგისტრირდება იმავე საბონენტო ანგარიშზე, როგორც ცალკე მდგომი სილქ ტვ მომსახურება.
4.30.27. რეინსტალაციის აბონენტს უფორმდება ახალი სტანდარტული საბონენტო ხელშეკრულება, დანართი რეინსტალაციის პირობების შესახებ და რეინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ძალაში შედის რეინსტალირებული მომსახურებების მოწყობა/აქტივაციის დღიდან (მომსახურებებს მიღება მოხდება მათი შესაბამისი პროდუქტ(ებ)ის სტანდარტული პირობებით).
4.30.28. რეინსტალაციის შემდგომ, რეინსტალირებულ მომსახურებაზე/ებზე გავრცელდება მომსახურების გაუქმებისას საშეღავათო ღირებულების დარიცხვის პირობები (ახალი სტანდარტული საბონენტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).
4.30.29. არ არის დასაშვები მისამართის ცვლილებისა და რეინსტალაციის მომსახურებაზე განაცხადების ერთდროულად რეგისტრაცია; პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს მომსახურებების რეინსტალაცია, ხოლო შემდგომ - მისამართის ცვლილების განაცხადის რეგისტრაცია.

4.31. დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადახდის გადავადება“ პირობები
4.31.1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ორმაგი, სამმაგი, ს1 სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - „**დავალიანების გადახდის გადავადება“ (შემდგომში „გადახდის გადავადება“)**, რომლის ფარგლებშიც, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გადაავადონ აბონენტის ანგარიშზე არსებული დავალიანების გადახდა, აღნიშნული დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის პირობით.
4.31.2. აბონენტს „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და სმს შეტყობინებით კოდის მიღების შემდეგ: ა) საბონენტო გადასახდელის გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ - **მომდევნო გადახდის თარიღამდე ვადით** (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების აღდგენა).
4.31.3. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით, აბონენტისთვის სმს შეტყობინების სახით გაგზავნილი აქტივაციის კოდის საშუალებით.
4.31.4. **„დავალიანების გადავადების“ მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.**
4.31.5. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისათვის „აბონენტს“ საბონენტო ანგარიშის მიმდინარე ბალანსზე დავალიანება გამოუჩნდება ჯამურად: გადავადებულ დავალიანებას დამატებული მიმდინარე („გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების თვის მომდევნო თვის შესაბამისი) დავალიანება.
4.31.6. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისათვის აბონენტს შეუძლია ა) სრულად დაფაროს, როგორც გადავადებული დავალიანება, ისე საანგარიშო თვის დავალიანება ან ბ) დაფაროს მხოლოდ გადავადებული დავალიანება და „გადახდის გადავადების“ მომსახურებით გადაავადოს საანგარიშო თვის დავალიანება.
4.31.7. იმისათვის, რომ აბონენტმა ისარგებლოს „გადახდის გადავადების“ მომსახურებით, უნდა განახორციელოს სხვადასხვა საგადახდო სისტემაში სმს შეტყობინებით მიღებული კოდის აკრეფა და გადავადების მომსახურების ღირებულების გადახდა - ზუსტი ოდენობით (სმს კოდის არასწორად აკრეფის შემთხვევაში, აბონენტი სმს შეტყობინებით ხელახლა მიიღებს კოდს).
4.31.8. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში „გადახდის გადავადების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება აბონენტის საბონენტო ანგარიშზე (მოხდება დავალიანების შემცირება შეტანილი თანხის პროპორციულად).
4.31.9. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.
4.31.10. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდეგ, დავალიანების დაფარვისას, ჯერ იფარება გადავადებული დავალიანება, ხოლო შემდეგ - მიმდინარე დავალიანება, რომლის გადავადებაც შესაძლებელია.
4.31.11. „გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურების პირობებზე (N2 დანართის პუნქტი 4.31.) აბონენტის თანხმობა გაცხადებულად ჩაითვლება აბონენტის მიერ საგადახდო სისტემების საშუალებით, დავალიანების გადახდის გადავადების ქმედების განხორციელებაზე, ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან.

4.32. დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადანაწილება“ პირობები
4.32.1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ორმაგი, სამმაგი, ს1 სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - „**დავალიანების გადანაწილება“** (შემდგომში „დავალიანების გადანაწილება“), რომლის ფარგლებშიც, „აბონენტის“ მიერ დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის შემდგომ, „აბონენტი“ დავალიანებას დაფარავს 10 (ათი) კალენდარულ თვეზე თანაბრად გადანაწილებული თანხის სს „სილქ როუდ ბანკისათვის“ ყოველთვიური გადახდით (სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტის ფარგლებში). „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, „სილქნეტის“ საბონენტო ანგარიშზე აბონენტს აღარ დაუფიქსირდება დავალიანება.
4.32.2. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლა „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურებით და ერიცხება საბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელები (დავალიანება).
4.32.3. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით (შემდგომში „სმს შეტყობინება“) დამატებითი მომსახურების აქტივაციის კოდის მიღების შემდეგ: ა) საბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელების (დავალიანების) ჯამურად გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების/ების აღდგენა).
4.32.4.„დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობის ღირებულება განისაზღვრება დავალიანების გადასანაწილებელი თანხის 20% (ოცი პროცენტის) ოდენობით, რომელსაც „აბონენტი“ უხდის „სილქნეტს“, წინასწარ, სრულად და ერთჯერადად.
4.32.5.„დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება „სილქნეტის“ საბონენტო ანგარიშზე (მოხდება მომდევნო თვეში შესატანი თანხის პროპორციულად შემცირება).
4.32.6. დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.
4.32.7. იმ პერიოდში, როდესაც აბონენტი სარგებლობს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით, მისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურება.
4.32.8. „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით დისტანციური გარიგების დადების გზით, რა დროსაც აბონენტთან იდება „**სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმება“**, რომელიც ძალაშია საბონენტო ხელშეკრულებასთან ერთად. ელექტრონული ფორმით შედგენილ ზემოხსენებულ დოკუმენტს გააჩნია მატერიალურად შედგენილი დოკუმენტის იურიდიული ძალა, ხოლო აბონენტის მიერ შეთანხმების პირობებზე დათანხმებას - ხელმოწერის იურიდიული ძალა.
4.32.9. წინამდებარე შეთანხმების ბეჭდური ვერსიის მიღება შესაძლებელია სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ოფისებში.
4.32.10. „სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმების“ ირგვლივ არსებული დავები გადაწყდება სასამართლო წესით.

5. დაზიანების აღმოფხვრა და ვადები
5.1.დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მხრიდან ხორციელდება „რეგლამენტის“, „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად, ხოლო Silk TV-სთან დაკავშირებული სატელევიზიო სიგნალის დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მიერ განხორციელდება „აბონენტის“ მიერ განაცხადის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.
5.2. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს „მომსახურება“ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად, „რეგლამენტით“ დადგენილი წესის შესაბამისად.
5.3.„აბონენტის“ მიერ ნებისმიერი ტიპის დაზიანების შემთხვევაში, წერილობითი განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს „კომპანიის“ ნებისმიერ სერვის–ცენტრში, ან ზეპირი შეტყობინება უნდა განხორციელდეს მხოლოდ სატელეფონო მომსახურების ცენტრის ცხელ ხაზზე - 2 100 100.
5.4.„მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულებისა“ და „რეგლამენტის“ შესაბამისად. „კომპანია“ ვალდებულია „აბონენტის“ ზემოაღნიშნული განაცხადის მიღებიდან „რეგლამენტის“ მე-18[1] მუხლით განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრას დაზიანება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დაზიანების აღმოფხვრის ვადას „რეგლამენტი“ არ ითვალისწინებს, „კომპანია“ უფლებამოსილია აღმოფხვრას დაზიანება, „აბონენტისაგან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული დღისა.
6. მომსახურების აუცილებელი საინსტალაციო სამუშაოები და მისი ღირებულება
6.1.„ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას „კომპანიის“ მიერ ჩასატარებელ ნებისმიერ საინსტალაციო სამუშაოებზე, რომლებიც აუცილებელია „მომსახურების“ მისაწოდებლად და იღებს უპირობო ვალდებულებას ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, სარჩელზე ან/და სხვა სახის პრეტენზიაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირების მოთხოვნებს ან/და პრეტენზიებს, რომელთა საკუთრებაზეც განხორციელდა ამგვარი საინსტალაციო სამუშაოები), რომელიც წამოყენებულ შეიძლება იქნას „კომპანიის“ მიმართ საინსტალაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ან/და მის შემდგომ პერიოდში. ამასთანავე, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუკი საინსტალაციო სამუშაოების შეფერხება/შეუსრულებლობა გამოწვეულია „კომპანიისათვის“ ამგვარი მოთხოვნების წაყენებით, რაც იწვევს „კომპანიის“ ვალდებულებების შეუსრულებლობას/შეფერხებას, „კომპანია“ სრულად თავისუფლდება ამგვარი შეუსრულებლობით/შეფერხებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. „მხარეები“ დამატებით თანხმდებიან, რომ თუკი „აბონენტის“ მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს ან/და საფრთხეს შეუქმნის „მესამე პირებისათვის“ „კომპანიის“ მომსახურების მიწოდებას, „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ სრულად აუნაზღაუროს ასეთი მომსახურების მიუწოდებლობით „კომპანიისათვის“ მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.
6.2.თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „ხელშეკრულებით“ ან/და მისი შესაბამისი დანართებით, “მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულება“ ასევე მოიცავს „მომსახურების“ გააქტიურების ან/და „ტექნიკური საშუალებების“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას.

7.„აბონენტისა“ და „კომპანიის“ ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, „მომსახურების“ მიღების/ცვლილების ძირითადი პირობები
7.1.“აბონენტი” ვალდებულია/აცხადებს თანხმობას (კონტექსტის შესაბამისად):
7.1.1.სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“;
7.1.2.არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების“ ჩართვა საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და ”ფროდის“ მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას „კომპანიის“ ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი მოწყობილობა ან/და „ტექნიკური საშუალება“ ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. „აბონენტი“ უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, „კომპანიის“ მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს.
7.1.3.შემოსული ან გასული ტრაფიკის და სხვა ტიპის ზარების შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.
7.1.4.მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული „მომსახურება“ და არ დაუშვას „კომპანიისგან“ მიღებული „მომსახურების“ შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ „მესამე პირზე“. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, “კომპანია” უფლებამოსილია დააკისროს “აბონენტს” ჯარიმის სახით 20,000.00 (ოცი ათასი) ლარის გადახდა და “კომპანიისთვის” მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება.
7.1.5.დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე) „კომპანიის“ მიერ მისთვის („აბონენტისათვის“) გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუკი ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია „კომისიის“ ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტით, ხოლო თუ არ ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამავე „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად.
7.1.6.„აბონენტის“ შესახებ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „კომპანიის“ მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ “აბონენტი” წინასწარ წერილობით უარს განუცხადებს “კომპანიას”.
7.1.7.ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.1.8.„ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ წინამდებარე ან/და კონკრეტული სახის მომსახურების შესაბამის დანართში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით (ასეთი პირობის არსებობისას).
7.1.9. დანართი N2–ის 7.1.8. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების“ დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტის“ მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება ,,ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება, „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მომენტისათვის „კომპანიის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის (ფასების) შესაბამისად.
7.1.10.„ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება „კომპანიისათვის“ გადახდილი უნდა იქნეს დანართი N2–ის 7.1.8. ქვეპუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2. „აბონენტი“ უფლებამოსილია:
7.2.1.აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ ან/და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.2.2.შეატყობინოს „კომპანიას“ ნებისმიერი დაზიანების შესახებ.
7.3. „კომპანია“ ვალდებულია:
7.3.1. „აბონენტს“ მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება“ „ხელშეკრულებით“ და “რეგლამენტით” განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.
7.3.2.„ხელშეკრულებითა“ და „რეგლამენტით“ განსაზღვრული წესითა და ვადებში აღმოფხვრას „მომსახურებასთან“ დაკავშირებული დაზიანება.
7.7.3.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.
7.3.4. დანართი N2–ის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების განხორციელების გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს „აბონენტი“ მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „კომპანიის“ ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

8.ფორს-მაჟორი
8.1. „ხელშეკრულების“ მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ „ხელშეკრულების“ დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „ხელშეკრულების“ მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ; დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), „ხელისუფლების“ ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს „ხელშეკრულების“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვ.;
8.2. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. „ხელშეკრულების“ მხარე, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია შეატყობინოს „ხელშეკრულების“ მეორე მხარეს საჯაროდ ან ინდივიდუალურად. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9.განცხადებები და გარანტიები
9.1. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება მის სახელზე დარეგისტრირდეს (გაფორმდეს) „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა „მომსახურება“. ასევე „აბონენტი“ აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურებების“ მის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად).
9.2. „კომპანიის“ მიერ ტელევიზიის (Silk TV) საშუალებით, კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებული ნებისმიერი შეტყობინება („აბონენტის“ მიერ ასეთი „მომსახურებით“ სარგებლობის შემთხვევაში), შეთანხმება ან შეთავაზება (რაც მოიცავს, (მაგრამ არ შემოიფარგლება) ნებისმიერი ტარიფის ცვლილებას), რომელიც დადასტურებული იქნება „აბონენტის“ მიერ დისტანციურად მართვად მოწყობილობაზე შესაბამისი თანხმობის ღილაკის (OK) დაჭერით, ჩაითვლება „აბონენტის“ თანხმობად და „ელექტრონულ ხელმოწერად“ ამგვარ შეტყობინებაზე, შეთანხმებასა თუ შეთავაზებაზე და ასეთ “ელექტრონულ ხელმოწერას” ექნება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.
9.3. „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისა თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის.
9.4. „აბონენტს“ უფლება არა აქვს „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მესამე პირს“ გადასცეს ან გადააბაროს მასზე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა „აბონენტის“ მიერ საბონენტო თანხის გადახდის ვალდებულებისა).
9.5. „კომპანიის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად, ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა “კანონმდებლობით” ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა“ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „კომპანიის“ უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა “აბონენტი”.
9.6. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
9.7. „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ და ეთანხმება „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ გაწევის „ხელშეკრულებითა“ და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს. „აბონენტი“ ასევე აცხადებს თახმობას, რომ ხელს მოაწერს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ დოკუმენტებს (მათ შორის დანართებს, „ტექნიკური საშუალებების“ „კომპანიისათვის“ უკან დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტს) და შეასრულებს მათ პირობებს;
9.8.აბონენტის მიერ „აქციის“ პირობებზე თანხმობის შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი დანართი, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. აქციის პირობებზე თანხმობის განხორციელება ასევე შესაძლებელია „აბონენტის“ მიერ სატელეფონო დარეკვითა და “პერსონალური კოდის” გამოყენებით.
9.9. მხარეები თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ N1 და N2 დანართების პირობებს შორის სხვაობისას, შეზღუდვა/აღდგენა/შეწყვეტა/დაპაუზების პირობებში უპირატესობა ენიჭება N2 დანართის პირობებს.
9.10. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „მომსახურების“ შესაბამისი დანართის პირობებით („ხელშეკრულებით“ ან/და დანართებით), „ხელშეკრულების“ გაფორმებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე სახის „ტექნიკური საშუალებები“ ან/და ნივთი ან/და ნუმერაციის რესურსი (სატელეფონო ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება „აბონენტისთვის“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);
9.11. „აბონენტი“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან სრულად და ჯეროვნად მიიღო „კომპანიისაგან“ მის მიერ მოთხოვნილი და „ხელშეკრულების“ დანართებში ასახული სატელეკომუნიკაციო მომსახურების ინსტალაციასთან დაკავშირებული მომსახურება და ამ მომსახურებისთვის საჭირო სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ტიპის მოწყობილობები („ტექნიკური მოწყობილობები“), რომელთა ჩამონათვალი გათვალისწინებულია შესაბამის დანართებში. აბონენტ იურიდიულ პირებთან „ტექნიკური მოწყობილობების“ გადაცემისა და ინსტალაციის თაობაზე დამატებით ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.
9.12. „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათისა.
9.13. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „მხარეები“ აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის მეორე (დამრღვევი) „მხარისათვის“ დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) „მხარის“ უფლებას და არა ვალდებულებას.
9.14. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის რეკვიზიტები, სწორია.
9.15 „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ „კომპანიის“ სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100 დარეკვით („კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ იდენტიფიცირებით - „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „აბონენტის“ საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით) ან სერვის–ცენტრში წერილობითი განაცხადის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „აბონენტის“ მისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.
9.16. „კომპანია“ უფლებამოსილია „ძირითადი წესების და პირობების“ მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების გზით „აბონენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე „მესამე პირს“ გადასცეს “აბონენტის” მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი უფლებები ან/და მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც “აბონენტი” წინასწარ წერილობით ან/და “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის ან პაროლის გამოყენებით უარს განაცხადებს ასეთ გადაცემაზე. ამასთან, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს შეტყობინების განხორციელებიდან: სატელეფონო მომსახურების შემთხვევაში - 60 დღის გასვლის შემდეგ, ხოლო სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემთხვევაში - 45 დღის გასვლის შემდეგ. „აბონენტის“ მიერ აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება უპირატესი უფლების მქონე მესამე პირზე, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურებით და ამას ადასტურებს „კომპანიისათვის“ გადახდის ქვითრების წარდგენით, ხოლო სხვა შემთხვევაში „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება „აბონენტის“ თანხმობით ან მესამე პირის მიერ მომსახურების მიღებაზე სათანადო უფლებამოსილების დადასტურებით. აღნიშნული მუხლით „სილქნეტის“ მიერ „მესამე პირზე“ „პირველადი აბონენტის“ უფლება/მოვალეობების გადაცემა არ გამორიცხავს ამავე „პირველადი აბონენტისათვის“ 3 (სამი) წლის განმავლობაში დაფიქსირებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე ამ უფლება/მოვალეობების უკან დაბრუნებას.

10.კომუნიკაცია მხარეებს შორის

10.1.„კომპანიის“ მხრიდან „აბონენტთან“ კომუნიკაცია ხორციელდება „კომპანიის“ ვებ–გვერდის საშუალებით: **WWW.SILKNET.COM,** ინდივიდუალური, მათ შორის წერილობითი, შეტყობინების გაგზავნით „ხელშეკრულებაში“ მითითებულ მისამართზე, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე „კომპანიის“ სერვის ცენტრებში.ან/და სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით, ასევე:

10.1.1.„მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10.1.2.აკუმულატორი ან/და არაავტომატური სატელეფონო შეტყობინებით „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ ნებისმიერ სატელეფონო ნომერზე (მათ შორის ოფოროვ ფიქსირებულ, ასევე მობილური ტელეფონ ნომერზე).

10.1.3.ტექსტური ანდა აუდიო შეტყობინების მიწოდებით Silk TV-ს მეშვეობით.

10.1.4.მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე.

10.1.5.ელექტრონიფოსტის მეშვეობით;

10.1.6.კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებით/წესით.

10.2.„კომპანიის“ მიერ „აბონენტთან“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება, სატელეფონო ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ზეპირი სატელეფონო სმენილი შეტყობინება ან/და ტექსტური ან/და აუდიო შეტყობინება Silk TV-ს მეშვეობით ჩაითვლება „აბონენტისთვის“ გაგზავნილ **ოფიციალურად შეტყობინებად.**

10.3. „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებში „კომპანიასთან“ კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო ცხელ

11. ელექტრონული ხელმოწერა

11.1.„მხარეები“ „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით თანხმდებიან, რომ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მათთვის „ელექტრონულ ხელმოწერას“ აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

12.კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

12.1. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

12.2. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე:

12.2.1. რომელიც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, ცნობილი იყო ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

12.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით უფლებების განსახორციელებლად);

12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა, მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;

12.2.4. რომელიც არის ან გახდება მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მათ შორის, ამ ხელშეკრულების საფუძველზე;

12.2.5. რომლის გადაცემის ვალდებულებაც კომპანიას აქვს უფლებამოსილი ორგანის (კომისია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანები და ა.შ.) მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.

12.2.6. დამკვეთი „კომპანიის ანაბეჭს“ უპირობო უფლებას, დამკვეთის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის / აქცეპტის გარეშე, დამკვეთის შესახებ ინფორმაცია გადაცეს მის „შვილობილ კომპანიებს“ ან სხვა ადეილრეფულ პირებს, დამკვეთისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით, რომ:

12.2.7. „მეგენი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;

12.2.8. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

დამკვეთი თანხმობას აძლევს კომპანიას, განსაზღვრულის დამკვეთის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს აკუმულატორი, ნახევრად აკუმულატორი ან არა აკუმულატორი სატელეფონო ნომრებების გამოყენებით მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, ალეფილმზეწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას, ასევე გამოიყენის დამუშავებული მონაცემები პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის;

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტის პერსონალური კოდი“ და „პინ კოდი“ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემა–დაკავშირება პასუხისმგებელი „აბონენტის“. შესაბამისად, „აბონენტის პერსონალური კოდის“ ან/და „პინ კოდის“ საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ითვლება „აბონენტის“ მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია „აბონენტი“.

12.4. ყოველგვარი ორაზროვნებისა და ეჭვის გამოსარიცხად, აბონენტი ვალდებულია პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენებამდე გაეცნოს მათი მოხმარების წესებს, რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებ გვერდზე WWW.SILKNET.COM, შესაბამისად, აბონენტის/მოიმხარებლის მიერ, პმა თუ იმ პროდუქტის/მომსახურების შეძენის/შეზღუდვის/შეჩერების/გაუქმების მიზნით პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენება (დასახელება ან პროგრამულად შეცვლა), ნიშნავს რომ აბონენტი/მოიმხარებელი სრულად იქნობს და ეთანხმება პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენების მომენტში შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების შეძენის/შეზღუდვის/შეჩერების/გაუქმების პირობებს.“

13. პრეტენზიები და დავები

13.1.„ხელშეკრულებიდან“ ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებმა“ შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად, სატელეფონო კავშირის საშუალებით „აბონენტის“ მიერ წინასწარ შეტყობინებულ საკონტაქტო ნომერზე, „რეგალამენტი“ შესაბამისად.

13.2. „ხელშეკრულების“ ან/და „მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, „ხელშეკრულების“ ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების მოქმედებასან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით) განხილება კანონით დადგენილი ვადებში (პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე), შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

13.3. დავის მორიგების ზეთით მოუგვარებლობის შემთხვევაში, „მხარეები“ მიმართავენ სასამართლოს ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

13.4.პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „მხარეთა“ მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ შედის ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–11 პუნქტის შესაბამისად.

14.„ხელშეკრულების“ შეწყვეტა

14.1. „ხელშეკრულება“ შესაძლებელია შეწყდეს:

14.1.1.**მხარეთა შეთანხმებით;**

14.1.2. **„კომპანიის“ ინიციატივით,** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:

14.1.2.1. „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;

14.1.2.2.„აბონენტისთვის“ შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნიდან 60 (სამოცი) დღის შემდეგ – სატელეფონო მომსახურებისას, ხოლო 45 (ორმოცდა ხუთი) დღის შემდეგ – სხვა მომსახურებებისას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე „კომპანიის“ მიერ ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების ცალმხრივად შეტანის თაობაზე „აბონენტისათვის“ გაგზავნილი ინდივიდუალური შეტყობინების მიღებიდან სამი/ოთხ დადგენილი ვადაში („აბონენტის“ მიერ ცვლილებაზე/დამატებაზე უარის დაფიქსირებისას.

14.1.2.3. „აბონენტის“ მიერ “კომპანიისათვის“ გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილი ვადაში გადაუხდელობის ან „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით განსაზღვრული სხვა შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია შეუწყვეტოს ან/და „აბონენტს“ „ერთიანი ანგარიში“ ფარგლებში მიწოდებული ყველა ან „მომსახურება“, რომლის მიწოდებაც „აბონენტისათვის“ ხორციელდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით და ერთ–ერთი მთავანის მიწოდება ტექნიკურად დამოკიდებულია მეორის მიწოდების უწყვეტობაზე და რომლის საფასურიც არ იგნება დროულად გადახდილი „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად. მომსახურების გადაუხდელობით განხორციელებული შეზღუდვა მოიხსნება მომსახურების საფასურის „კომპანიის“ ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.

14.1.3. **„აბონენტის“ ინიციატივით** „ხელშეკრულება“ შესაძლებელია შეწყდეს მიწოდებული „მომსახურების“ სანაცვლოდ გადასახდელი თანხის დაფარვის და სხვა არსებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და „კომპანიისთვის“ შეწყვეტის შესახებ წერილობითი მიმართვით.

14.2. აბონენტის გარდაცვალების/ლიკვიდაციის დამთავსტურებელი ცნობის „კომპანიის მიერ მოპოვების /კომპანიისთვის წარმოდგენის დღიდან, კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს საბონენტო ხელშეკრულება ან გადაადგილების შესაბამისი მომსახურებ(ებ)ა უპირატესი უფლება–ვალდებულებების მქონე მესამე პირზე (რამდენიმე ასეთი პირის არსებობისას – ერთ–ერთის მომართვისთანავე).

15.ცვლილებები და დამატებები

15.1.„ხელშეკრულებაში“ „კომპანიის“ ინიციატივით (ცალმხრივად) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობით ან/და დანართი N2–ის მე–10 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი შეტყობინებით.

15.2.„კომპანია“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისაებრ, „აბონენტის“ დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, დანართი N2–ის მე–10 მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი შეტყობინებით, ხოლო დანართი N2–ის 15.3. და 15.5. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებში – ინდივიდუალური შეტყობინების გზით და ამავე პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში:

15.2.1.შეცვალოს „მომსახურების ღირებულება“ (ტარიფები) ან/და „მომსახურების პაკეტები“;

15.2.2.შეცვალოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობა;

15.3. Silk TV მომსახურების მიწოდებისას ტარიფების ცვლილების შემთხვევაში „კომპანია“ უზრუნველყოფს ინდივიდუალური შეტყობინებით „აბონენტისათვის“ ამ ინფორმაციის მიწოდებას ახალი ტარიფები მომსახურების დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე, ხოლო მომხარმღლისთვის მიწოდებული მომსახურების პაკეტის შეცვლის, ან პაკეტში ცვლილების შემთხვევაში (რაც არ ეკუთვნიხმის ახალი არხის დამატებას სხვა პირობების უცვლელად), ახალი პაკეტით მომსახურების დაწყებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

15.4. „კომპანია“, საკუთარი ინიციატივით მაუწყებლობის ტრანზიის მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტამდე, ვალდებულია „უზრუნველყოს ინდივიდუალური შეტყობინებით „აბონენტისათვის“ ამ ინფორმაციის მიწოდება, მომსახურების შეწყვეტამდე 10 (ათი) სამუშო დღით ადრე.

15.5. „კომპანია“ ვალდებულია „აბონენტს“ ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია, მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის მომხმარებელზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე, ასევე, ინფორმაცია რეგულამენტით დადგენილი წესით მომსახურების შეზღუდვის ან/და მომსახურების მიწოდებლის ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

15.6.„კომპანია“ მიერ დანარი N2–ის 15.2. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, თუ „აბონენტი“ „კომპანიის“ მიერ მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის დრომდე არ განაცხადებს წერილობით უარს შეცვლილი პირობების მიმართ მოუღლობის შესახებ, ჩაითვლება, რომ „აბონენტი“ თანახმაა „კომპანიის“ მიერ შეთავაზებულ ამგვარ ცვლილებებზე, ხოლო დადგენილ ვადაში „აბონენტის“ მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში „კომპანია“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან შეწყვიტოს ნაწილობრივ - იმ „მომსახურების“ (მათ შორის ერთიანი ანგარიშის ფარგლებში მიწოდებული ყველა ის „მომსახურება“, რომლის მიწოდებაც „აბონენტისათვის“ ხორციელდება ერთი და იგივე ტექნოლოგიით და ერთ–ერთი მთავანის მიწოდება ტექნიკურად დამოკიდებულია მეორის მიწოდების უწყვეტობაზე) ფარგლებში, რომელსაც ეხება ცვლილება/დამატება (ეს უკანასკნელი პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ცვლილება/დამატება ეხება რომელიმე კონკრეტულ ერთ ან ერთზე მეტ მომსახურებას).

15.7.„ხელშეკრულებაში“ შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16. ზიანის ანაზღაურება და კომპენსაციის მეკანიზმები

16.1.„კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი:

16.1.1.„აბონენტის“ მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე;

16.1.2.„მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია პროგრამული ვირუსით ან „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს „სადემარკაციო წერტილიდან“ „აბონენტის“ მხარეს არსებულ დაზიანებას.

16.2.„აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისებისა, პროექტების და სხვადასხვა სახის აქციებიების შესახებ, მათ შორის, როგორც „კომპანიის“, ასევე მესამე პირის „რეკლამა“, რაც არ გამორიცხავს აბონენტის უფლებას, უარი განაცხადოს ასეთი რეკლამის მიღებაზე, შესაბამისი განცხადით.

16.3.თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „ხელშეკრულებით“, შესაბამისი „მომსახურების“ პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ „მომსახურებაზე“, რომლის დებულებებშიც არის მოცემული ამგვარი პირობები და არ აკარგს ზოგად ხასიათს.

16.4. "აბონენტი" უფლებამოსილია მოითხოვოს პირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია „კომპანიის“ ბრალით ან დაუდგენლობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც „კომპანიისთვის“ წინასწარ იყო სავარუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებულ უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. „კომპანიის“ მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება არაპირდაპირი ზიანის კომპენსაცია, როგორიცა, მაგ. მოელბული შემოსავალი ან სხვა შედეგიზრეი დანაკარგი.

16.5. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „აბონენტის“ მიერ მონაცემთა მინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას „მომსახურებით“ სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, „კომპანია“ შეუძლებელი პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ვირუსის, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „აბონენტის“ მონაცემთა დაკარგის შედეგად, ასევე „აბონენტის“ ბრალით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალის შემთხვევებზე.

16.6. „კომპანია“ უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია „აბონენტის“ ან ნებისმიერი მესამე პირის ქმედებით, ვისზეც პასუხისმგებელია „აბონენტი“.

16.7. „კომპანია“ ვალდებულია „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების პარამეტრების არსებულად ან/და ხარვეზებით მიწოდების შემთხვევაში, „აბონენტის“ განცხადებისა და მის საფუძველზე „კომპანიის“ მიერ მოღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უზრუნველყოს მიუწოდებელი მომსახურების საფასურის გამოქვითვა „აბონენტის“ მიერ გადასახდელი მომდევნო თვის საფასურიდან, ან ამ თანხის „აბონენტისათვის“ უკან დაბრუნება, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების არარსებულად ან/და ხარვეზებით მიწოდების შეწყვეტას „ხელშეკრულებას“.

16.8. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შედეგად, აბონენტის ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, მის ანგარიშზე არსებული თანხა (აბონენტის მიერ დეპოზიტზე დასმული გაუხარჯავი თანხა) ინახება ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული ვადის გამავლობაში, მომსახურების ხელახალი აქტივაციის შემთხვევაში, აბონენტს გაუხარჯავი თანხა უმრწყნდება დადგენილი ბალანსის სახით. სხვა შემთხვევაში (პნე როდესაც აბონენტი არ ითხოვს ხელახალ აქტივაციას), აბონენტს თანხა დაუბრუნდება სერვის–ცენტრისადმი წერილობითი განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, მის მიერ მითითებულ სბანკო ანგარიშზე (აბონენტმა უნდა წარმოადგინოს ბანკო ოფერიზატი ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტის სახით).“

17. დამატებითი პირობები

17.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუ დანართით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. „აბონენტი“, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „კომპანიის“ ნებისმიერ სერვის–ცენტრს და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის აქტი „ხელშეკრულების“ პირობათა შესაბამისად. ამასთან, „აბონენტი“ ვალდებულია, შეწყვეტის დღესვე, სრულად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისთვის „კომპანიის“ წინაშე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხა თუ დავალიანება და დაარწმუნის მოწყობილობები.

17.2. „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

17.3. „ხელშეკრულებაში“ მხოლოდ რიგებში გამოყენებული სიტყვები ეულისხმის მრავლობითს და პირიქით.

17.4. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დასახელებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებები ან დანომერები ცდილობენ/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავემუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის) შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

17.5. „ხელშეკრულების“ ტექსტში მეკანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი გამოიცალი და განსარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამიდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ ხათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან (განსარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17.6.„ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ თანხმაა მის სახელზე დარეგისტირიდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებითა“ და დანართები „მომსახურება“. „აბონენტი“ ასევე აცხადებს, რომ მს გაანნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებართვა/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.

17.7.„ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.8.ყველა პირობა, მხარეთა უფლება–მოვალეობანი და სხვა დებულებები, რაც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, ასევე მომსახურების სახეები, ტარიფები, შეზღუდვის, შეწყვეტისა და აღდგენის პირობები, დამატებითი მომსახურების სახეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული კონკრეტული სახის „მომსახურების“ შესაბამისი დანართებით.

17.9. მომსახურების სახეები, ტარიფების, შეზღუდვის და აღდგენის პირობები, დამატებითი მომსახურების სახეები, აქციის პირობებისა და სხვა პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „კომპანიის“ ვებ–გვერდზე: **WWW.SILKNET.COM,** სს „კომპანიის“ სერვის–ცენტრში, აგრეთვე „კომპანიის“ სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.

17.10. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ „მხარეებს“.

სასარგებლო ინფორმაცია სილენტების აბონენტებისთვის !

კომპანიასთან გაფორმებულ სააბონენტო ხელშეკრულებაში მითითებულია აბონენტისთვის საჭირო ინფორმაცია ს ა ტ ე ლ ე კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ო მომსახურებებით სარგებლობის პირობების შესახებ

დამატებითი ძალიან საჭირო ინფორმაცია შემდეგზე:

1. პირადი ანგარიშის ნომერი

პირადი ანგარიშის ნომერი დაგჭირდებათ სააბონენტო გადასახადის დასაფარად (რომელიც შეგიძლიათ იხილოთ, ხელშეკრულებაში ან ვებ პორტალზე: my.silknet.com, რეგისტრაციის შემდეგ)

გადახდა შესაძლებელია:
• საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში
• სწრაფი გადახდის აპარატებით
• ვებ–პორტალის მეშვეობით: my.silknet.com
• ინტერნეტ- ბანკიგზით (ინტ.ბანკიგზით სარგებლობა შეგიძლიათ მაშინაც, როდესაც თქვენი მომსახურება დავალიანების გამო შეზღუდულია)

შენიშვნა: გადახდის თარიღი შეგიძლიათ იხილოთ ხელშეკრულებაში ან ვებ–პორტალზე. თუ თქვენ სარგებლობთ კომპანია სილენტების სატელეფონო მომსახურებითაც, ანგარიშსწორება შეგიძლიათ აწარმოოთ როგორც პირადი ანგარიშის ნომრით, ასევე სატელეფონო ნომრითაც.

2. სილენტების ვებ- პორტალი my.silknet.com

სპეციალურად სილენტების მომხმარებლებისთვის შექმნილი პორტალი my.silknet.com საშუალებას გაძლევთ, მართოთ თქვენი პირადი ანგარიში ონლაინ-რეჟიმში.

ვებ–პორტალით თქვენ შეგიძლიათ:
• მიმდინარე სერვისების მართვა
• ბალანსის ნახვა და ანგარიშსწორება
• დამატებითი სერვისების აქტივაცია/დეაქტივაცია
• კომპანია სილენტების მიერ შემოთავაზებული აქციებით სარგებლობა
• 50 უფასო sms შეტყობინების გაგზავნა ყოველდღიურად
• პირადი ანგარიშის ნომრის და კოდური სიტყვის ნახვა

3. აბონენტის პერსონალური კოდი (კოდური სიტყვა)

აბონენტის პერსონალური კოდის (კოდური სიტყვა) ნახვა შესაძლებელია ხელშეკრულების დანართში ან ვებ–პორტალზე: my.silknet.com

კოდური სიტყვის დასახელებით, ცხელი ხაზით შესაძლებელია დისტანციურად მოგემსახუროთ შემდეგზე:
• გაგიშიფროთ თქვენს პირად ანგარიშზე დარიცხვები
• შეგიცვალოთ პაკეტი
• დაგიმატოთ ან გაგიუქმოთ მოთხოვნილი დამატებითი მომსახურებები და ა.შ.
ასევე:
პულტის ინსტრუქცია და ტელევიზიის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სიატზე: Silk-tv.com

მადლობა თანამშრომლობისთვის!

სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ცხელ ხაზზე: 2100100 (ტექნიკური დახმარებისთვის დარეკეთ 2100100(2)